

645  
1964/2

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



# საქართველოს კულტურის მემკვიდრეობის კატალოგი

თბილისი, 1964 წ.





# ნიმუხი ქუთაისზე

ნუნუ დულაშვილი

მუსიკა ნუნუ დულაშვილის

ტექსტი ლავით კვიციანიძის

აღიონზე ბაღში ფეთქავს  
ვარდი ფერად-ფერადი;  
სიყვარულის დედულეთო,  
მწვანეში ხარ ყელამდი.  
დაგელოცოს ცა და ფუძე,  
ბაგრატი და გელათი.

მინამდერი:

ქუთაისო, ქუთაისო,  
შენთან არის ჩემი გული. 2-ჯერ

დე, რონმა ნება-ნება  
იღუღუნოს ზვირთებად,  
დამიკარგა მოსვენება  
ცაცხვებმა და კვირტებმა,  
აქ ყოველი გათენება  
სულ სიყვარულს მპირდება.

მინამდერი:

ქუთაისო, ქუთაისო,  
შენთან არის ჩემი გული. 2-ჯერ

აღიონზე ბაღში ფეთქავს ვარდი ფერად-ფერადი; სიყვარულის დედულეთო, მწვანეში ხარ ყელამდი. დაგელოცოს ცა და ფუძე, ბაგრატი და გელათი.

მინამდერი:  
ქუთაისო, ქუთაისო,  
შენთან არის ჩემი გული. 2-ჯერ

დე, რონმა ნება-ნება  
იღუღუნოს ზვირთებად,  
დამიკარგა მოსვენება  
ცაცხვებმა და კვირტებმა,  
აქ ყოველი გათენება  
სულ სიყვარულს მპირდება.

მინამდერი:  
ქუთაისო, ქუთაისო,  
შენთან არის ჩემი გული. 2-ჯერ



645  
964/2



ი. შარლემანი

ღერმონტოვი მცხეთაში

საქართველოს მხატვრების 1953 წ. ნამუშევართა რესპუბლიკური გამოფენა.

# მ.ი. ლუკონიძე

## 150

1964





# ნულეიძის ჩაიონები



წულუკიძის რაიონში ბევრი მოწინავე, შრომისმოყვარე ადამიანი ცხოვრობს. ისინი სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები არიან — ფეიქარი და მეჩაიე, ექიმი და მეაბრეშუმე, პედაგოგი და პარტიული მუშაკი. ყველას თავისი მოწოდება, მიზანი და ვალდებულება აქვს. თავის უბანზე ყველა გამოირჩევა გულმოდგინებით, პატიოსანი შრომით და ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვით. მათ სახელებს რაიონში იცნობენ, აფასებენ, მათ მიმბაძველები ჰყავთ. იმერეთის ამ ლამაზ მხარეს საქართველოს სხვა რაიონებს შორის ერთერთი წამყვანი ადგილი უჭირავს საერთო-სახალხო დოვლათის შექმნაში.

დოვლათს კი ჩვენი დროის გმირები ქმნიან — უპრეტენზიო, ჩუმი, მშრომელი ადამიანები, რომელთა ყოველი დღე გმირული შემართებით, საინტერესო მოვლენებით და წარმატებებითაა სავსე.

აი, ზოგიერთი მათგანი.

დალი წივწივაძე საშუალო სკოლიდან მოვიდა წულუკიძის სახელობის კოლმეურ-

**დალი წივწივაძე**



ნობაში. მას 0,8 ჰექტარი ჩაის პლანტაცია მიიბარეს და იმავე წელს 1.500 კგ ჩაის ფოთოლი მოკრიფა. შემდეგ წლებში მაჩვენებლები თანდათან მატულობს. იზრდება დალი წივწივაძის შრომითი აქტივობა. მასზე ალაპარაკდნენ კოლმეურნეობებში, ალაპარაკდნენ რაიონში.

დალი ოცი წლისაა. მას ნდობით უყურებენ და მზად არიან ყოველგვარ წამოწყებაში მხარი დაუჭირონ. მას ახალგაზრდობა მიჰყავს ახალი ინიციატივის ასატაცებლად — ჩამოაყალიბებს მეჩაიეთა ახალგაზრდული რგოლი და გაიპიროვნეს 2,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. ახალგაზრდები აუღებელ ზღუდეებზე ფიქრობენ, მათ იტაცებთ ის, რაც გეგმით არ არის გათვალისწინებული. 1962 წელს გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს და მომავალი წლის საიერიშოდ მოემზადნენ.

1963 წელს ეს იერიში ახალი გამარჯვებით დაგვირგვინდა.

1964 წელიც მოვიდა და დალი წივწივაძემ სულ ახალბედა მეჩაიეებს მოუყარა თავი; საკოლმეურნეო კომპლექსირული ორგანიზაციის მდივანს დალი წივწივაძეს კოლმეურნეობაში ახლადმოსულებმა მხარი დაუჭირეს და 8 ჰექტარ პლანტაციიდან 21.000 კილოგრამი ფოთლის მოკრიფა ივალდებულეს. რგოლის წევრებმა წლიური გეგმა 14 იენისისათვის შეასრულეს და ახლა გეგმის გადაშეტებით იღებენ მოსავალს.

ასეთი ახალგაზრდები ამ კოლმეურნეობაში ბევრია. სულ ახალგაზრდაა ამავე კოლმეურნეობის მეაბრეშუმე მარო გოგავა და უკვე მოწინავეს სახელი დაიმკვიდრა. 1963 წელს მან 62 კილოგრამი პარკის ნაცვლად სახელმწიფოს 100 კილოგრამი პარკი ჩააბარა.

1964 წელს მარომ ახალი ვალდებულება აიღო — 80 გრამი აბრეშუმის მურიდან 68 კილოგრამი პარკის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 125 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი.


კოლმეურნეობაში მარო გოგავა მეჩაიეთა შრომასაც ინაწილებს. აბრეშუმის ჭიის მოვლისაგან თავისუფალ დროს ის პლანტაციონშია და ჩაის ფოთლით პირამდე ავსებს კალათებს.



მარო გოგავა

წულუკიძის ცენტრში, ძველი, ყოფილი სემინარიის შენობაში სკოლა-ინტერნატია მოთავსებული. ხუთი წელია ისმის აქ დილიდან დაღამებამდე ბავშვების უივილი-ხივილი. გამვლენები ამ შენობასთან წუთით შეჩერდებიან; ზემოთ აიხედავენ და... უნებლიედ შორეული ბავშვობის მოგონება მოეძლიებათ. 820 აღსაზრდელიდან წელს 18 მოსწავლემ დაამთავრა სკოლა. ეს სკოლა-ინტერნატის პირველი გამოშვებაა. აქედან წასულებმა თან წაიღეს სიმწიფის ატესტატი და აღმზრდელების დარდი — რა გზას დაადგებიან, როგორ მოეწყობიან? ამაზე ფიქრობენ აქ დარჩენილი მასწავლებლები. წასულთა ბედი აფიქრებს ინტერნატის სასწავლო ნაწილის გამგეს მარიამ სანო-





მარიამ ხანოძე

ძეს. მისმა ყოფილმა მოსწავლეებმა ხომ მარიამთან ერთად გადაწყვიტეს, როგორ წარემართათ თავიანთი ცხოვრება. მოსწავლეებმა მარიამს ცალკე გაუმხილეს გულისნადები და რჩევაც კითხეს. ნინო კვალიაშვილს, რომელსაც კარგი მუსიკალური მონაცემები აქვს, მარიამმა ურჩია, რომ მუსიკალური განათლება მიეღო. რა კარგია, როცა ვინმე შენს ოცნებას მიგიხვედბა და ბიძგ, მოგცემს, ნაბიჯს გადაგადგმევინებს. თუნდაც ირაკლი ბორჩაშვილი ავიღოთ. ირაკლი კარგად ხატავს. მას სამხატვრო აკადემიაში სწავლაზე ფიქრი მარიამ მასწავლებელმა გაუძლიერა. იცოდა მარიამმა ვიქტორ ყვარელაშვილი სავიაციო სასწავლებელში სწავლას რომ აპირებდა, ნატო მეგრელიშვილს ქიმიური ფაკულტეტი რომ მოსწონდა... უველას ამბავი იცოდა, თვრამეტევს ფიქრი და ოცნება.

თინათინ ბახტაძე



ოც წელიწადზე მეტია, რაც მარიამ ხანოძე პედაგოგად მუშაობს წულუკიძის რაიონის სხვადასხვა სკოლებში. ის მარტო მშობლიურ ლიტერატურას კი არ ასწავლიდა ბავშვებს, არამედ სიყვარულს, მეგობრობას, კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ადამიანებისადმი. მას დაუფასდა გავრეული ამაგი — იგი დაჯილდოებულია მთავრობის მედლებით. მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო მისთვის მანც ის არის, რომ მან დაიკავა ყველა აღსაზრდელის გულში ადგილი.

ინტერნატის აღზრდილებიდან, ალბათ, ზოგი ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შევა. მათ მშობლიური ლიტერატურის სიყვარული თინათინ ბახტაძემ გაუღვიძა. მისი გაცვეთილები, ყოველთვის საინტერესო და მიმზიდველი, მოსწავლეებს უნერგავს მეგობრობისა და პატრიოტიზმის გრძნობებს. თინათინი მარტო გაცვეთილების ჩატარებით როდი კმაყოფილდება. მისი მოსწავლეები ჩაბმული არიან ლიტერატურული წრის მუშაობაში, კითხულობენ რეფერატებს, აწყობენ ლიტერატურულ გასამართლებებს. ასე თანდათან ყალიბდება მომავლის მშენებელი ადამიანების დამოუკიდებელი აზროვნება, მაღლდება მათი იდეური დონე, მსოფმხედველობა.

წულუკიძის სკოლა-ინტერნატს ბევრი კარგი პედაგოგი ჰყავს. ისინი ზრდიან, ავაუკაცებენ, ცხოვრების საგზურს აძლევენ ჩვენი ხვალისდელი დღის შემოქმედო, კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა ღირსიულ ცვლას.

\*\*\*

დედით თბოლ გოგონას ნამდვილი დედობა გაუწია წულუკიძის ძაფსადგმა ფაბრიკამ. ფაბრიკის დირექტორიდან ღამის დარაჯამდე ყველამ დიდი სითბო და სიყვარული აგრძნობინა მას. ახლაც ტკბილად იგონებს რუსიკო სანოძე იმ ბედნიერ დღეს, როცა ფაბრიკაში პირველად შედგა ფეხი. პირველი სიხარული მაშინ იგრძნო, დირექტორმა რომ მუშაობის ნება დართო, მაგრამ, როცა დაზგებს მიუახლოვდა, შეშინდა, სმარმა გააბრუა, მასრების ტრიალმა თვალები აუჭრელა. გამოცდილი ოსტატის ა. სულაბერიძის დახმარებით სულ მალე დაეუფლა შრომისმოყვარე ქალიშვილი სპეციალობას და წითელ დაფაზე სხვა მოწინავეთა შორის, რუსიკო სანოძის გვარაც გაჩნდა.

1958 წელს რუსიკო სანოძე სათავეში ჩაუდგა კომუნისტური შრომის საპატიო წოდებისათვის მებრძოლ ბრიგადას. მას მხარში ამოუდგნენ თანატოლები: თ. კუხალიაშვილი, თ. აილაროვა, ვ. ყურაშვილი, ს. ლეჟავა, ლ. მიქაბერიძე, პ. წიგწიავაძე, ლ. ხვინგია, პ. პაჭკორია, პ. ალენიანი. ბრიგადა დღითიდღე ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას.

1959 წლის 4 ნოემბერს რუსიკოს ბრიგადამ მოიპოვა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდება. წლიური დავალება 115 პროცენტით შეასრულეს ქალიშვილებმა, გამოუშვეს

91 პროცენტი პირველი ხარისხის პირდუქტია ნაცვლად ვალდებულებით ტაკატ — 75 პროცენტისა და დაზოგეს 84 კილოგრამი ნედლეული. იმავე წელს რუსიკო შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში.

მალე მთელი ფაბრიკა აახმიანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ — მოწინავე ქალიშვილი დააჯილდოვეს ლენინის ორდენით. უმაღლესმა ჯილდომ რუსიკოს მეტი პასუხისმგებლობა დააკისრა. ქალიშვილები შრომობენ უფრო ბეჯითად და ყოველ-



რუსულან ხანოძე

წლიურ დავალებას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ; წელს, რუსიკოს ბრიგადის მიღწევებმა ყველა მილოდინს გადააჭარბა. ბრიგადის წევრებმა ხუთი თვის მანძილზე 586,9 კილოგრამის ნაცვლად სამშობლოს მისცეს 620 კილოგრამი ძაფი. ფაბრიკა ამაყობს რუსიკო სანოძით, რუსიკო კი — მისი ბრიგადის წევრებით.

\*\*\*

გზის მარჯვნივ და მარცხნივ ჩამწკრივებულა კოსტა ოდები. ეზოებში ტოტები ატყდება ვაშლს, მსხალს, ატამს. ცისფრად შედებილი ჭიშკრებიდან გიღმიან წითელი, ხასხასა ვარდები. ძალაუნებურად ნაბიჯს ანელებ და იყურები ეზოებში. ფიქრობ, რამ თოგო ამდენი ვარდი! თუ დისასხლისმა შეამჩნია უცხო სტუმარი, ჭიშკართან გაჩნდება, შეიპატიჟებს და ვარდების კონას შესთავაზებს. თუ კიდევ ცოტა შეყოვნდება, უთუოდ იმერულ ცხელ ხატაპურს მიართმევს მობოდიშებით.

განთქმულია წულუკიძე გულუხვობით, განთქმულია შრომისმოყვარე ლამაზი ქალებით. ვინ მოსთვლის რამდენი მოწინავე ქალია აქ, მაგრამ მათ შორის ბავშვაც კი იცის ვინ არის „ლენა ექიმი“. რა თქმა უნდა, იცის, ვინ არუქა მას სიცოცხლე. იგა სულ ახალგაზრდა იყო.





ელენე ყუბანეიშვილი

წულუკიძეში რომ ჩამოვიდა. სამედიცინო ინსტიტუტი ახლადდამთავრებული ჰქონდა. ახალბედა ექიმმა თეორიული ცოდნა პრაქტიკით გააღრმავა. დაკვირვებულ, ჭკვიანი ქალიშვილი შვილივით შეიყვარა რაიონმა და როცა ელენე ყუბანეიშვილი სამედიცინო-გინეკოლოგიური განხრით კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე გაიწვიეს თბილისში, ჯანმრთელობის განყოფილების გამგემ პირობა ჩამოართვა, რომ კურსების დამთავრების შემდეგ ისევ წულუკიძეში დაბრუნდებოდა. ასეც მოხდა. ელენეს წულუკიძის სამშობიარო სახლი ჩააზარეს. მოდიოდნენ მასთან მომავალი დედები შიშამდგარი თვალებით და მწვავე ტკივილებით, ითხოვდნენ შეეღას. ელენეც შეეღოდა მათ. ხშირად გვიან ღამე, შორეული სოფლებიდან: კინჩხიდან, გორდიდან ცხენით მოადგებოდა კოლმეურნე ელენეს სახლს. იცოდა ექიმმა, იქ ელოდნენ მას სასიკვდილოდ განწირული ადამიანები.

როცა, 1941 წელი მიიმედ დააწვა ჩვენს ქვეყანას და ელენემ მეუღლე მოქმედ არმიასი გაისტუმრა, პირადი სრულიად დაივიწყა.

თუ ოდესმე უფიქრია მას სამუშაოდ თბილისში გადმოსვლა, ახლა საბოლოოდ რაიონში დარჩენა გადაწყვიტა. მის გადაწყვეტილებას სიხარულით შეხვდა რაიონის მშრომელები. ელენე უანგაროდ შრომობდა და ომგადასდილ ქმარს პირნათელი შეხვდა. და ახლა, როცა, ყველაგან სიმშვიდე დამკვიდრდა, ელენე ყუბანეიშვილის ცხოვრებაში არც ერთი დღე არ არის წყნარი და ჩვეულებრივი, იგი მუდამ მღვლეარეა და დაძაბული. ყოველ წუთს ეშინია საიდანმე არ გამოსხლტეს მარცხი, იბრძვის სიცოცხლისათვის, რომ არ დაკარგოს ადამიანი. მთავრობამ ღირსეულად დააფასა მისი ამაგი. იგი რამდენიმე მედიკოს დააჯილდოვა, ხოლო 1961 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება.

მუდამ სხვის ბედზე მზრუნველი ქალი, თვითონაც ბედნიერი დედაა. უფროსი ვაჟი, ბადრი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტია, ხოლო ქალიშვილი იუსტიცისა ჯერ საშუალო სკოლაში სწავლობს. დედის მაგალითზე იზრდებიან შვილები და სხვა სიხარული არც უნდა ელენეს.

# მისი ტიტი ოჯახი



რამდენი ქეთევანი გვეყავს საქართველოში — თავისი საქმით გატაცებული, სხვადასხვა დარგის მუშაკი!

რამდენ ბასტაძის ქალზე შეიძლება გვესაუბრა სიყვარულით.

ანდა, რამდენი სანაქებო საბავშვო ბავი გვაქვს. ვინ მოსთვლის!

მე იმ ქეთევან ბასტაძეზე მოგიხსრობთ; ქალაქ წულუკიძეში, ოდიოგან განთქმულ აბრეშუმის ფაბრიკის საბავშვო ბავს რომ განაგებს.

ერთერთ პატარა და ამავე დროს დიდ ოჯახს რომ უძღვის, სადაც ყოველდღე მრავალი პატარა სტუმარი მიეშურება.

სტუმარი-მეთქი! სტუმარი კი არა, მასპინძლები თვითონ ისინი არიან, სწორედ — ამ საბავშვო ბავსის აღსაზრდელები.

აბა, ეწვიეთ და რა ცეკვა-თამაშით შეგიქცევინ! რა სიმღერით და ლექსებით გაგახარებენ! როგორი ორგანიზებული, სამაგალითო ხელმძღვანელობა იგრძნობა მათი უფროსებისა.

და აღარ იცი, ვის უნდა უმადლოდე: ამ ბავსის მუსიკის მასწავლებელს ნელი გოფოძეს, აღმზრდელებს — თამარ ქოიავას, ნათელა ჯაფარიძეს, ტექნიკურ მუშაკს ცისანა ბასტაძეს თუ მზარეულ ქსენია კინწურაშვილს, რომ ასე კარგი მოვლილები ჰყავთ ჩვენი პატარა მასპინძლები!

ქეთევან ბასტაძეს რომ ჰკითხოთ, პირველ რიგში, საბავშვო ბავსის მომსახურე პერსონალს ჩამოგითვლით, მათ კეთილსინდისიერებას გაუსვამს

ხაზს და თქვენ გულში გაიფიქრებთ:

— მაშ, ასე დაგიყენებიათ საქმე თქვენ თვითონ, პატივცემულ ქეთევან!

ოცდასუთი წლის მანძილზე ორიათასზე მეტმა პატარა მოქალაქემ გაიარა მის ხელში და როგორ უნდოდა ქეთევანს, რომ ყველა მათგანს ჰქონოდა ნათელი ბავშვობა, გულმხიარული ხასიათი.

გულმხიარული მეთქი! ახლა ადვილი სათქმელია, მოსაგონრად კი რა ძნელია დიდი სამამულო ომის დღეებში. აი, ის იყო ვაჟაკობა, რომ მაშინ მხიარული ბავშვობა განეცადათ მის აღსაზრდელებს.

როგორ ნაღვლობდა გმირულად დაღუპულ მამაზე მიშვიკ ჭავჭავაძე, და როგორ ცდილობდა „ქეთო გამგე“ შეემსუბუქებინა მისთვის მწუხარება!

ვერ შერიგებოდა პატარა დოდო შუბლაძე თავისი მამის სევასტოპოლში გმირულად დაღუპვას. და „ქეთო გამგეს“ სიცოცხლის, სიკეთის რწმენა უნდა განემტკიცებინა მათ გულში და შეეშრო ცრემლი მათთვის.

დაეშოშინებინა ისინი, სწორედ მაშინ, როდესაც მათი დედების მწარე ხვედრმა მასაც უწია და გლოვის ზარი ედგა: ფრთხილად დაღუპული მეუღლე — ბიქტორ რუხაძე, შინ კი — მამით დაობლებული პაწაწინა ვანო და დოდო. მათთვის არ უნდა შეემჩნევიანებინა მამით ობლობა





ახალგაზრდა ქეთევანს, სწორედ ისევე, როგორც მისი აღსაზრდელების უდროოდ დაჭერივებულ დედებს.

საზეიმო დღეები იყო თუ ჩვეულებრივი, გულ-მშვიდად უნდა ეფუსფუსათ პატარებს, ლხინიც ელხინათ, ნირი არ უნდა შეცვლოდა ბაღის ცხოვრებას.

სხვა საქმესაც უნდა გასძლოლოდა ბაღის გამაგე: აგერ, ცოცხალი კურდღლებით, საჩუქრებით, ტკბილეულით წაეყვანა თავისი ბავშვები ქუთაისის მავდის ფაბრიკის საბავშვო ბაღის ბავშვებთან.



ქეთევან ბახტაძე

ახლა მათაც სომ უნდა დახვედროდნენ მასპინძლად თავის ბაღში; ოღონდ კი გამოეყვანა მდგომარეობიდან მწუხარებით გარჯნებული ბავშვები, ოღონდ კი გამოეთიშა.

დღეს, ანკეტას რომ ავსებდეს ქეთევანი, არც დაფიქრდება, ისე დაჭერებით დაწერს: ოჰასური მდგომარეობა—ქმარშვილიანი. ცალუდელამ გაზარდა თავისი შვილები და მაინც „ქმარშვილიანი“ წერს.

ამაშია ჩვენი დედაკაცის კაიქალობა და ნებისყოფა. ჯანსაღმა სიცოცხლის უნარმა თავისი გაიტანა. საქმის სიყვარულმა კი დააძლეინა ქვრივობა, გააძლებინა იმ კოლექტივის გულისხმიერება, გარს რომ ერტყა.

სიყვარულით ასხენებს ქეთევანი მხარშიშემდგარ უანგარო აღმზრდელებს: თლია ბანტაძეს, პედაგოგ მარიამ ქუთათელაძეს, რომლის ტკბილქართული, არტისტული თხრობა, ზღაპრებისა თუ ამბის მოყოლა სიბზალადა ქეთევანს.

ათასობით კარგი მოსწავლე გაუსტუმრებია სკოლებში ამ საბავშვო ბაღს, და ვინ იცის კიდევ რამდენს გაისტუმრებს. ესაა ქეთევანის ყველაზე მთავარი ჯილდო, იმ უხვ ჯილდოებს შორის: მედლებს, მადლობებსა და წარჩინების ნიშნებს შორის.

ქეთევანის ოპტიმიზმი, მოწოდინება და შრომა კიდევ ბევრ თაობას გაუკვალავს გზას.

მამუკალა მრეველიშვილი

თიერ სახმამაძე

მე რა დღე

დილით მე ვდგები სულ მოლად ფხიზელი, მაგრამ, გავალ რა შინიდან გარეთ, წინ დამიხვდება დღე სახმისებით: ეს მინდვრისაო, ეს — მზის და ქარის, ეს — ხმაურთან, ჭრელი ქუჩების, მაღალი კაცის, დაბალი ქონის, ლამაზი ბავშვის და ალუჩების, ყვავილის, ქარი ორად რომ მოხრის. და ჩავთვლის მისი ხალხობის ღირსად... მეც ვცლი წედოზედ სუყველა სახმის ბრძანებით დღისა, სურვილით დღისა... დამით ბარბაცით ვბრუნდები სახლში და ვფიქრობ დღეზე, რომელმაც განვლო.

ღიღით

შენ იქნებოდი ლამაზი ხარი, შენ იქნებოდი მაღალი ხვამლი, შენ იქნებოდი მდინარე დიდი, მაგრამ შენ გაჩნდი ადამიანად, და დღეს მოღისარ ჩემს გვერდზე რიღით, ლომივით დინჯი და ნაღვლიანი. ნამიან ვარდებს უხდებთ დარი და ტანმაღალი კანკალებს სვია... მე და ვარ შენო, უმცროსი დაი, როგორც გრიგალის და არის სიო — ეს არის ფიცი და მე ფიცის ტყვე... რა მაღალია დღევანდელი დღე, რა მდუმარეა ბეთანიის ტყე და ეს ბილიკი,

სად ედემს ზრდილი,

მეხვევა შენი ლამაზი ჩრდილი, მარტოდენ ჩრდილი და მთების ქარი... ძვირფასო, ხედავ ამომავალ მზეს, როგორ ამშვენებს იაღლუჯის სერს მისი საკვირვლად წითელი ზარი? თქვი, არ გავონებს მზის ამოხედვა პირველ გამხელას: „მე შენ მიყვარხარ!“ სიტყვას, ეღვარეს უოველ სიტყვათა, მთართოლვარ ბაგეებს რომ აღმოხდება, როგორც მნათობი ამ მშვენიერ მთებს? თქვი, არ გავონებს?

მორინახე

გახსოვს, დოზილო, ჭეკა-ქუხილში რომ წავედით მოდინახეზე, რათა გვეხილა მისი დღურჯი მიმონახაზი როგორ კრთის ქარში და გამოსცემს მწუხარე კილოს? მაშინ, ზე, მაშინ გამოგვცავდა ციხემ, ვით ღვინომ, ჰგავდა ის მაღალ აზარფეშას, პირთამდე ავსილს, ავდიოლით და თითქოს ვცლიდით წერეთლურ სახმისს. როცა ავედით, იმ სიმალემ შეგვათრო თითქოს, მახსოვს, სიმღერაც წამოგუწყეთ დანამულ მიწდორს, მერე თვალეები ამოგვევსო დარდით ქაღურით, მერე მოვარდა მსხვილი წვიმა თქარუნ-თქარუნით, ჩვენ გამოვრბოდით სველ კაბებით და დიდილოთი, თავდაღმართებში ვეცემოდით და ვიცინოდით, ვიყავით მთვრალი მოდინახეთი...

ნაწული ძეგურია

ბაიი

ერთმა პატარა მაიამ დღეც დამავიწყა, დამეცა, თითქოს ყვავილთა ნამია, თითქოს ცა კაბად ჩაეცვას, თითქოს ტალღების ჩურჩული ყელზე მძივებად აესხას. თვალეებში დილა უცინის, თმებზე სხივები მზისანი, დღეს მის სამზერლად შემდგარა კრწანისი, წყნეთი, ისანი. გამოვეკიდე, გამექცა, დღეც დამავიწყა, დამეცა. ერთი პატარა მაია გულზე ყაყაჩოდ დამეცა.

ბაღახი

ყოველ გაზაფხულს ამოვა ბალახი — საოცრად მაღალი. მზე ნამგალივით გადახრის ბალახს — გადაღლილს. დიდებად, დაცემულ მამულისშვილთა, დღეს საფლავებში რომ სძინავთ, მშვიდად, ამოვა ბალახი საოცრად მაღალი.

ენო მოგუღალაშვილი

ყ ა ნ ა ზ ე

კლდეზე გადმოწვა ლოდი, აფორიაქდნენ ხენი, ყანაზე გოგო მოდის მსუბუქი ტანის რხევით.

წამობიზინდა კორდი, ვით საპატარძლო ჩითი, რომელი გოგო მოდის, — ხეზე შემოჯდა ჩიტი.

პარიქა, ხანძარს აჩენს, ყანა გაშუქდა ალით, რა ენადღელება ჩანჩქერს, ვაი, თავთავის ბრალი!

რას გარინდულხარ, ყანავ, ბიჭები სადა გყვანან?!

ყანაზე გოგო მოდის, ყაყაჩო გოგოს ბაძავს, განა დაგიწყებთ ლოდინს, ისე გავიჩენთ ხანძარს.

ჩანჩქერი კლდეზე ლაღობს, იღვრება რძისფერ ქაფად, ხანძარს სად ხედავთ, ხალხო, სცმია წითელი კაბა.



# საქონი უნდა იყოს საქონი..

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

— გიგა, დაგხტავთ, თუ ისევ მშრალი აგურით ამოგყავთ ეგ კედელი.

— არა, სალომე უფროსო, დავასველეთ, ორი ვედრო წყალი გადავასხით.

— გიგავე, ჰაი, გიგაავე!.. — დაიროხროხა აღმოსავლეთ კედელმა.

— თპო-თპო-პოო! — გაეპასუხა მოპირდაპირე.

— მოდი, აგურის წყობაში შემეჯიბრე, ვინ წინა და ვინ უკანა!

— ვერ მოგართევს, შვილსო! შენ ახლა დაიწყე, მე კი დილას აქეთია არ ჩამოვსულვარ ამ ეშმაკის თაროდან.

— კარგი. შესვენებაზე შენ დაისვენე, მე ვიმუშავე. მერე გავეჯიბრით. — დაიგუგუნა გამომწვევმა და საამქროს მალაღმა ჭერმა დიდგუმბათიან ეკლესიასავით გააძლიერა, გაადიდა, გაამრავლა ხმები.

— რა გაღრიალებს, თავგოდორავ, — მიუბრუნდა მოჯიბრეს, — შენი თავი ხასხათის კალთებზე გგონია ისევ?

თავგოდორამ „ეშმაკის თაროდან“ ჩამოხედა და მკლავით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— რაღა დასველება უნდა ამ აგურს, უფროსო, მთელი ვედრო ოფლი დააწურა ზედ კაცმა.

— ეს რა არის, რამ გაასისხლიანა აგური, ვინ დაიჭრა?

— ალბერტას წმინდა სისხლია, უფროსო, ხელებიდან დასდის.

— რათა?

— რათა და აგურს ეგ მაწოდებს, ჯერ მშრალი რას უზამს და სველი ხომ ერთიანად სერავს ხელებს. — სული მოითქვა და ერთბაშად თქვა სათქმელი თავგოდორამ. ამ ჭროს ვიღაცამ ჩააფარა თავში და ჩაუსისინა: — ისევ აწუწუნდი, დედალო?

— მოიცა სოსო, მაგაზე გარუმება როგორ იქნება. — ქალს სახეზე ალბური ასდიოდა. — აკი იმ დღეს ამოგიტანეს ხელთათმანები, შიშველი ხელებით რატომ მუშაობთ?

დახასრული. იხ. უფროსი „საქართველოს ქალი“ № 9.

„კარგი ქვის ნატეხია ის ალბერტიც, აბა, თუ დასცდება რამე მიჭირსო. ყოყლორინა!“

— ხუთი წყვილი რას გაგვუდებოდა, ან როდემდე გეუყოფოდა? — დამანაშავესავით ჩაიბურტყუნა „დედალო“.

— ერთი თვის წინ გამოვიწერეთ ორმოცი წყვილი, მაგრამ საწყობის გამგე ვერ ჩავიხელეთო, ნოდარმა.

— მოიცათ, ახლა მე თვითონ ჩავალ, თუ ვიპოვე ის უსაქმური.

— ახლახან ქვევითა საწყობისაკენ გაუხვია, სალომე უფროსო.

— ალბერტ, მიხედე შენს ბიჭებს, ახლავე დაებრუნდები.

პალტოს სახელოში ყელსასველი გაჩხირულიყო და ხელის გაყოფას უშლიდა.

„გამაიყუებს ეს ხალხი. აქამდე სამუშაოზე გასარეკად ჯოხი სჭირდებოდათ, ახლა გაზი სჭირდებოდათ გაჭირვების ამოსათქმელად.“

— სალომე უფროსო, მაგ ძელზე ნუ გაივლით, სველი. დღეე ძალიან ადიდებულია, ფეხი ავიცუდდებათ.

— აბა რა გქნა? ზევითა ხიდამდე ორი კილომეტრია, ვეღარ ჩაუსწრებ იმ უწმინდურს.

პალტო ორ დიღზე შეიკრა და მორზე შედგა ფეხი. ხე შეტორტმანდა. ამღვრეული წყალი ცივი შეფეხით გაეთამამა ქვევიდან.

„ვაიმე. ჩავვარდები... სხვა რამეზე უნდა ვიფიქრო... შევრცხვები... მთელი მიღეთის ხალხი მიყურებს... ეს რა ცირკის ნომერი გამოვიფონე... როდის ჩავიცვი ეს პალტო პირველად? რა ლამაზი იყო...“

შუამდე არ იყო მისული, უფრო ძლიერად შეტორტმანდა ხიდად გადაებული ძელი, ორივე ხელები გაშალა წონასწორობის შესანარჩუნებლად და როგორც დაჭიმულ თოკზე ჯამბაზმა, ისე გაიბინა. რაღაც კორძმ წამოაღო ფეხი, მეორე მიამხველა, მაგრამ სველ ხეზე ვერ მოიკიდა და მოწყვეტით გადაეშვა თხრილში. გაყინული წყალი გველივით შემოესალტა წელზე. ერთწამის სიკვდილი ინატრა თვალდასუქულმა. მერე ცალი ხელი ასწია და ნაპირზე გასტობა. უკან არ მოუხვდია, ისედაც იცოდა: სტა-

დიონის ტრიბუნებზე კისერდაგრძელებულივით უყურებდა სამივე ბრიგადა. ხელი დაუქნია და, რაც შეეძლო, მხიარული ტონით გასაძახა გაღმა დარჩენილებს:

— ესეც ჩემი ნათლობა იყოს. მიჩიან მეფემ ნათლისღებისას მტკვარში ძალით აბანავა ხალხი. ახლა ვიცი, რატომ არ უნდოდათ ქრისტიანობა წარმართებს. ძალიან ცივი ყოფილა წყალი.

ნაპირზე გამოსულს, ქარი დაეტკა. ტანსაცმელიდან ღვარად ჩამოსდიოდა წყალი. წელზე და მუხლებზე ეკვროდა და ეყინებოდა კაბა.

„თუ ჩქარა ვივლი, იქნებ გადავარჩინო ბებიჩემი კუბოს თავთან ექლმას.“

როცა დიდი გზიდან გადაუხვია და ტრიალ მინდორზე გაკავალულ ბილიკს დაადგა, მაშინდა დაემდურა ღაწვის თავები ცხელი ცრემლებით.

ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა და თან თავის ბედს თუ უბედობას დასტეროდა. თავის ობლობას და უპატრონობას სწყევლიდა ამ დასაქცევარში და მოუსავლეთში გადმოსახლებისათვის.

„თუ ვინმემ იაფერისტა, ან სახლი გაქურდა, ყველა აქ გადმოათესლეს. ჩემი ინჟინრობაც ასეთივე მძიმე დანაშაული ყოფილა. რა მინდა აქ, რა?.. ვიცი რასაც მეტყვი: — შვილო, ვაუჭირვებლად და უშრომლად არაფერი კეთდება. ყველა დიდი საქმე და დიდი სიხარული ჯაფითა და ხშირად ცრემლითაც იხადება — გააჯავრა ბებიას. — არ მინდა არც შენი დიდი სიხარული და არც ეს უბედურება“, — ეკვიტებოდა ცხრა მთას იქით მყოფს. მერე სხვა გაისხენა:

— სალომე, რა ლამაზი ხარ ამ საღამოს, რა კარგი პალტო გაცვია. ბიძამ გიყიდა?

„რით ვერ გაიგო ამ თითებდასლართულმა, რომ ის ქვრივი გობსკი ჩემთვის არაფერს ყიდულობს. ვუთხრა, რომ საპალტოვეს ორდერი ინსტიტუტში მომცეს, ბეწვი ბებიჩემის ძველი მანტია და პალტო მე თვითონ შევიკვრე?“ — გაიფიქრა გაბრაზებით.

— ძალიან დავიგვიანე? შენ მეორე განყოფილებაში უკრავ? — ჰკითხა ხმაშაღლა.





„ჩაიკოვსკი ყველაზე დიდებულად დაუკრა. მეტი შოპენი. როგორ ავლელი მამინ. რა უფრო მათრთოლებდა, თვით პოლონეზი თუ იმის შვერძნება, რომ ეს ჯადოსნური ხმები მისი დასლართული ხელებიდან გამოდიოდა?“

— აღრე დაავწყებინეთ მეცადინეობა, იმიტომ გაუმრუდდა თითები ჩემს ბიჭიკოს. — გამეპრანჭა გამოსვლისას დედამისი.

უპ, ნეტავ ტყეილი მეთქვა მამინ, პალტო ბიძამ მიყიდა და ბინასაც მე მიმტკიცებს-შეთქი. როგორ ჩამაფრინდებოდა მდიდარი სარძლოს მონატრული დედამისი. ახლა უკვე ასპირანტურაში ვიქნებოდი. აღარც ცემენტის ხსნარითა თუ საღებავით დავითხუპნებოდი და აღარც ეს გაუთავებელი ქარები გამათავებდა...

ფუი, რა ვთქვი აი, სადამდე მიდის დედაკაცის დაცემა... კიდევ ამბობენ მაჩაბლისეული „არარაობა“ დედანში „სიძაბუნედ“ იკითხებო. სწორედ არარაობა ვარ, არარაობა, არარაობა! სიყვარულმა ვერ მანანებინა მისი ცოლი რომ არ გავხდი და გაჭირვებამ წამომაცდენინა სინანული“.

საწყობის კარი ღია დახვდა და იმ „უწმინდურს“ ოცდახუთი ხელთათმანი წაგლეჯა.

უკან მობრუნებულს, კანტორის საკვამურიდან ამოსულმა ცეცხლის ენებმა გაუხუთქა გული.

— გიგა, რა ამბავია, ხანძარი?

— არა, უფროსო, ღუმელი გავასურეთ, დასველებულს გამოშრობა მოვიხდებათ.

— მე გამოგაშრობთ, თქვენა! — წამოიწყო გიგას გალაზნადარავებული ტონით გულმოსულმა, მაგრამ თვითონვე შეატყო: კილოში თავლი გაერია, ხმა დაატკბო და დაადნო, ჯერ თვალის ნაოჭები შეჰყარა ღიმილმა, მერე ბაგეზე დაეფინა და სიყვარულით გადახსნა.



— კლარა, შენც დაგაგვიანდა ავტობუსზე?  
— მე ჩვეულებისამებრ, მაგრამ შენ როგორ დაგვამართა?

— ეტყობა ყველას ემართება. ახლა რა ვქნათ, რით წავიდეთ?

— რამე გამოვიღოს.

— შენ სატვირთოს არ გაჰყვები, არა?

— არა, გენაცვალე, იქ ვერ ავიჩაჩხები ამისისქე ქალი.

— მე უსათუოდ უნდა წავიდე, თორემ ჩემი ბრიგადები დამშეულებივით იღრინებიან ალბათ და უკვე „გაცდენას“ იწყებენ უწყისებში. მაპატიე, კლარა. — და ქალმა ნაბიჯი წინ წადგა, მომავალ მანქანას ანიშნა: გამიჩერეთ.

— არაფერს, ჩემო კარგო, წადი. ჩემი კოლები და სინჯარები მოთმინებით დამელოდებიან.

ქალმა გაუღიმა და ძარას მოჰკიდა ხელი. მარჯვენა ფეხი თვალზე შედგა. შიგ მსხდომებმა ხელები ტოტებივით გამოუწოდეს, მაგრამ ქალი მეორე ფეხით უნაგირივით გადაეგლო ძარის გვერდს და თვალის დასამამებამში სხვათა დაუნხმარებლად ჩახტა მანქანაში. საკმებად გადაბულ ფიცრებზე მსხდომნი მიიწვი-მოიწვი და მეორე რიგში დაუთმეს ადგილი. ქალმა პალტოს საყველო აიწია.

— რა უბედურებაა. აღარ უნდა დაადგეს საშ-

ველი ქარის ჩადგომას? — აბუზუნდა ვიდაც.  
— თოვლი მაინც მოსულიყო, ცოტა დათბებოდა, თორემ ეს ყინვები სულ აჩერებს მუშაობას. ძვალსა და რბილში ატანს — დაამატა მეორემ.

— შენ ჩემი თქვი. სულ გაჩერებული მყავს ხალხი. ამისთანა ზამთარი პაპაჩემსაც არ მოსწერებია, ძმაო.

ხელი, რომლითაც საყველო ეჭირა, დაიორთქლა და ჯიბეში ჩაიდო, რადგან ძალიან გაეყინა. გული გადაუღვდა და შიგ სისინით ჩააბურა ქარმა. მეორე ხელი მიაშველა. წინ მსხდომნი კედელივით აუფარნენ.

— აბა, რა ქალის საქმეა ამისთანა მშენებლობაზე მუშაობა. — გაჯაფრებით გააპროტესტა მარცხნივ მჯდომმა. — ქარში და თოვში ღია მანქანებით ჯლაგუნი და შოფრებთან და მუშებთან ჯაჯადნი. რაღა ქალობა უნდა მოსთხოვო, გაუხუშვება, აბა რა დაემართება.

— ქალიც არა, მე აღარ ვარგვიარ კაცად. — დაემოწმა მეორე. — სულ სმენაზე ვდგავარ ხასხში, ბავშვებთან არ წამომცდეს გინება.

ქალმა უფრო დახარა თავი. თვალიწინ კლარა წარმოუდგა. ქარხნის მყუდრო ლაბორატორიაში, ქათქათა ხალათში გამოწყობილი, მშვიდად რომ ატყობინებდა ანალიზის პასუხებს ზრდილობიან მეითხველთ.

— აირია, ძმაო, მონასტერი აქაო და ქალი და კაცი გათანასწორდაო, სულ დაკარგეს ზომა და ზღვარი...

მანქანამ მეორე გადასახვევთან დაამუხრუჭა. აქედან ახლოს იყო სამჭედლო საამქრო. რამდენიმე კაცმა დაასწრო ჩამოხტომა და ხელი მიაშველეს, მაგრამ ქალმა წვლანდელივით ცალი ხელი ძარის უკანა გვერდს ჩაავლო, ელვისისწრაფით გადმოველო თავზე და ისე გაქვავდა ადგილზე, როგორც ორქვილიდან გადმოსტომისას.

„იგ, რა ქულებს დავაგროვებდი...“ — მოეწონა თვითონვე. დახმარების მსურველთ მადლობა გადაუხადა და მარჯვნივ გაუხვია.

სამივე ბრიგადა კანტორაში შვეროვილიყო, ღუმელი გავარვარებული დახვდა. ოთახში ტევა არ იყო. ანუდოტების ხსიათზე მოსულ ბიჭებს ერთი ხორხოცი გაჰქონდათ.

— ჩემი წილი ჯანბნადიც არ დავტოვებო, რაღა ვისუნთქო? ვინ გაბედა ოთახში პაპიროსის მოწევა? დღეს მუშაობას აღარ აპირებთ? ამ გახურებული ოთახიდან გარეთ გასულს, ხომ ფილტვების ანთება დაეტაკება ხაშინვე. ბუთო, გააღე ფანჯარა. სერგო, ეგ დიდი მუგუხალი გარეთ გააგდე.

პალტო გაიხადა და ნახაზებს მიუჯდა.

„ისეთი რა სამუშაო მიეცე, რომ შენობაში შეიძლებოდეს მუშაობა? მეარმატურებს არა უჭირთ-რა. დანარჩენებს? დაიწყებს უზნის უფროსი გრძელ არაკს: ნახაზებს ვერ იცნობ კარგად, თორემ ამხელა ობიექტზე საქმე როგორ არ გამოჩნდებოდაო.“

თხუთმეტივად წუთის შემდეგ ოთახი დაცარიელდა.

„ამას სამუშაოს მიეცემა კი არა, საჩხირკედელივით გაშვება ჰქვია. უპ, შენი...“ — აღარ დაამთავრა უზნის უფროსის მისამართით გაგზავნი-

ლი გინება — რაღა ქალობა უნდა მოსთხოვო აქ ნამუშევარს... — გაახსენდა ლიტონს ნარტყამი. მალე ხმამაღლა შევიგინებო. ან რა იმისი ბრალია, ასეთი ზამთარი არც ერთ ცნობარში არ არის. არავინ მოელოდა და ეგ როგორ გაითვალისწინებდა. ჩემი ბრალი კი არი, ჩემგან რომ თხოულობს სამუშაოს?.. ოღონდ თვითონ როგორმე აიცდინოს პასუხისმგებლობა... სხვას რას დაეძებს, ტყეილად კი არ დაარქვენს „როგორმე“...

უკრა გამოხსნა და ფრონტული ბარათივით გაცეცოლა სამკუთხედი გაშალა.

„გოგო-ს“, პირველი დანახვისთანავე... — ისევ იმის შესახებ სურთ მომელაპარაკონო — გაიფიქრა ღიმილით. — ეს ხალხი მოცილილია, თუ მე მიგდებენ მასხრად? — წარბები თავისით შეიყარნენ და ბარათს ღუმელში შედგება დაუპირა, — მაგრამ, იქნებ ნათელა მართალია: მთელი დღის განმავლობაში მარტო მე და შენ გვხვდავინ, მაგათ ხანაში თვით სიყვარული უყვართ, ატმის ვარდისფერი კვირტებივით დავსებულან და დაფეთქვასზე არიან, რა ვასაკვირია, რომ ჩვენზე შეაჩერონ სასიყვარულო შედარებული თვალიო. „ოღონდ „პო“ მითხარი და აქედან კაცი გამოვალ. ჩემს დღეში ცუდს აღარას გავაკეთებ. აკი, ერთხელაც გითხარი, ომი იყო, უპატრონოდ დავარჩი და გზას ავცდიმეთქი?..“ „ვინა მწერს? ოპ, თავგოდორავ, შენდა მაკლდი, ლოტოს კოჭო. თავსაც რომ იმართლებს... ომი პირს მოგუწმენდავს? მე კი უდღემამოდ არა ვსწავლობდი ომის დროს?“

„შენ ქალი ხარ, შვილო, ქალის მოვლა და გზაზე დაყენება უფრო ადვილია.“ კი აბა, ადვილია! ნელი ქალი არ იყო, სახანის ქარხნის დირექტორს რომ გადაეკიდა და მერე ბავშვაკიდებული რაიკომებსა და სასამართლოებში დადიოდა. ვითომ თავიდანვე არ იცოდა ცოლშვილიანი რომ იყო ის კაცი? ომმა ივანე და სლავა პარტიზანებთან მიიყვანა, ეს დაგვალული კი — ქურდებთან.

„...აქამდეც შენი გულისათვის ვასრულებდი ნორმას ორასი პროცენტით, ოღონდ უარს ნუ მეტყვი და კიდევ გაეაოკვეს...“

აკი გოგი ამბობდა: ვინ დიდი ამ კაცის ცოდლო, ვინ უთხრა: ორასი პროცენტი ყავლს გაგინახებერებსო. კაცი ზედ ასკდება მუშაობას, იმიტომაც აღარ იზრდებო. მაშ, ჩემი გულისათვის იკლავდი თავს, ლოტოს კოჭო? დანარჩენები? იქნებ ისინიც — ვინც ჯერჯერობით ჩუმად არიან. ალბერტი? იმას ჯერ წერილი არ მოუწერია, მაგრამ თვალზე აწერია: ისიც ჩემი გულისათვის აშენებს ქარხანას?

„მოიცა შვილო, ნუ აჩქარდები, ხანდახან ერთი სიტყვა გზას სულ ამრუდებს, ხან კი ივარდს უფენს. თუკი შენზეა დამოკიდებული იმ კაცის მომავალი, განა მერე უგულოდ ხელის კვრის ნებას მოგცემს გული?“

„აბა რა ვქნა, იმის გზაზე დასაფენი იავარდისათვის ჩემი გზა ეკლითა და ღორღით მოვრწყო?“

„რაო, შვილო, შენსას ნუ გაიცუდებ, მაგრამ ნურც იმის ხიდს მისცემ წყალსა ტკბილი სიტყ-





ვა უთხარი, შვილო. ასეთ დროს იმედიც დიდი საქმეა, გენაცვალოს დიდდა“.

„არა, დიდდა. ეს სიყვარული ქარისაა. არაფრის შეძლება არა აქვს. მე მაგ კაცს ვერც გავაპარებ და ვერც გავაცუდებ. თუ უშველის, ისევ შრომა უშველის. შენგანვე გამოვიდა: კაცი თუ ოფლის სიტკბოს გაიგებს, არმისვენ აღარ გაიწვევსო. ნაშრომ-ნაამაგარმა დიდი სიყვარული იცის. ასე რომ არ იყოს, მეცხვარეობას არავინ იცის-რებდაო. ჰოდა, თუ შრომას შეიყვარებს, კაცად იქცევა. მე ჩემდათავად საშრომელზე წავაქვებ და გავეჯობებებ.“

„ვერე ჰქმენ, შვილო“.  
ქვედა უკრა გამოსხნა და წერილების დასტას ეს ერთიც მიუმატა.

\* \* \*

— ემა; ბატონი სიმონი მარტოა?  
— მარტოა, მაგრამ ჯერ ნუ შეხვალ, სალომე, იქნებ იღირსოს საუზმე.

— რაღა დროს საუზმეა, დაღამდა.  
— დილიდან არაფერი უჭამია, მაშ რა დავარქვა?

— რატომ, წუმს ინახავს?  
— არა მცალიაო, სამჯერ დამიყვირა. წარმოვიდგენია, იმ მიძიმე ავადმყოფობის მერე მაინც ასე იქცევა.

ემას მეტისმეტად შეწუხებული სახე ჰქონდა.  
— შედით, სალომე, მაინც არ ჭამს, რაღაცას სწვრს. — თქვა უფროსის საქციელით უმაყოფილო ემამ.

— გამარჯობა შენი, ახალგაზრდა სპეციალისტო. ხომ არ დაიღალეთ? რაზე შეწუხებულხართ, რას გვიბრძანებთ?

— ბატონო სიმონ... — წაიბორძიკა ქალმა.  
— ბატონო სიმონ, ან საპროექტოში გადამიყვანეთ, ან გამანთავისუფლეთ. მეტი აღარ შემძლია. — სულმოუთქმელად მიაყარა სათქმელი და უცებ გაჩუმდა.

ბატონმა სიმონმა წარბი ასწია.  
— უკვე? — მხოლოდ ეს იკითხა.  
— ძალიან მიჭირს წვიმასა და ქარში მანქანებით ჯაგჯაგი, შოფრებთან და მუშებთან გაუთავებელი ჯაჯღანი. ბოლოსდაბოლოს, მე ხომ ქალი ვარ...

— სალომე, ჩვენ არც ერთი გამოჩენილი მშენებელი ქალი არა გვეყავს, არ გინდა პირველობა?

— არა, ბატონო სიმონ, ეგ ძალიან ძვირად ფასობს. მე ვერ შევწვდები.

— აბა, აქ რატომ მოხვედი სამუშაოდ?  
როგორ ეთქვა იენისში დავამთავრე და ოქტომბრამდე; როცა ასპირანტურაში მისაღები გამოცდები იწყებოდა, უფულობის გამო ვერ მივალწვედიო.

— აქ გამანაწილეს და...  
— მერე შენი გაშვება კანონით სამ წლამდე რომ იკრძალებოდა, იცი?

— ვიცი, მაგრამ...  
— მაგრამ, ისიც იცი, სიმონს ჩვილი გული აქვსო, არა?..

საგანგებო ტელეფონმა დაიწვრიალა.  
— გისმენთ, — ხმამაღლა თქვა მმართველმა.

— მოსკოვი გელაპარაკებათ!  
და უცებ კაბინეტი ფრონტის წინა ხაზის

შტაბს დაემსგავსა. ზოგი დაფორით შემოდიოდა, ზოგი კარებიდან გაწვირებულივით იძახდა ციფრებს.

— მხოლოდ ორასი ტონა საარმატუროდ და ასი ტონა წვრილხარისხოვანი რკინა მივიდეთ, ასიც გზაშიაო, ჩვენ კი ამ კვარტალში რვაასის შეკვეთა გეკონდა.

მაგიდის ქვეშ მოთავსებული ზაროს დილაკი წამდაუწუმ უხმობდა ემას, სხვათა და სხვათა დაძახებებს ავალბებდა და ქალადებს აძებნიებდა.

სალომე მოუხერხებლად იჯდა. მაგიდასთან მინსვლელებს გზას უღობავდა, უმრუდებდა და უშლიდა. ფრთხილად ადგა და შეეცადა შეუმჩნევლად გასულიყო.

— დამიცადე. მერე მოვილაპარაკოთ. — მაინც შეამჩნია მმართველმა.

ქალმა თავი დაუქნია და მოსაცდელში გამოვიდა. თან ემა გამოჰყვა.

— რა ცუდი ფერი ადევს, არა სახეზე?  
— რა ბავშვივით ელოლიაივები.

— აბა, აქ შესწრებოდი ცუდად რომ გახდა, თუ შეეც არ დამხინდებოდი? ერთ წაშში გაშავდა კაცი, ახლა ყოველ წუთს გამოთრება მოსალოდნელი.

— პატარა ხომ არ არის. ასე თუ უჭირს, რას იკლავს თავს?

— უყვარს ეს საქმე, გემის! რამდენი გაჭირვება და უბედურება გადაიტანა, სანამ ასე საათივით ააწყობდა მშენებლობას. უიმისოდ უფრო მალე მოგვედებოთ, იძახის.

„უყვარს ეს საქმე... მე? ეტყობა მე არ მიყვარს ჩემი საქმე, რადგან სიძნელებებს და გაჭირვებას მუდამ უფრო წინ ვაყენებ. რამ შეაყვარა ასე? დიდდა იტყობა: თავისსავე შრომამ და დახარჯულმა ენერჯიამო. თავიდანვე ჩემსავით უარი რომ ეთქვა; ხომ ვეღარ შეიყვარებდა?“

— მაპატიე, ემა?  
— რა, სალომე?

— წელან რომ არ შევსულიყავი, საუზმეს მოასწრებდა.

— ეგ, თვითონ გამოიფრებდა საქმეს. მიდიხარ უკვე? ავი დამიცადეთ, რას გაჰყვები ახლა?

— რამე შემხედვება.

\* \* \*

მთელ კვირას გადაუღებლად ბარდნიდა. გაზაფხულის პირველი თვე უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, მაგრამ ღამღამობით ისევ ჰყინავდა. დღისით თოვლს ამატებდა მოყინულზე. კვირა დღეს მაინც იმდენი მოვიდა, გვერთობდათ ათასი წლის მარაგი ჩამოთოვავი. მარაგი არა, მაგრამ მაქსიმუმი კი იყო, რადგან ეს რაიონი საანგარიშო ცნობაში მეორე ზონად ითვლებოდა. თოვლის დატვირთვა სამრეწველო ნაგებობებზე ათასწლიანით იყო გამოთვლილი. ცნობარის თანახმად, უდიდესი სიმაღლე ორმოც სანტიმეტრს არ უნდა ასცილებოდა. ახლა კი მეტრს გადაამეტა. ხალხი სახურავებიდან არ ჩამოდიოდა. წმენდას ვერ აუდიოდნენ, მაშინვე თოვლით იფარებოდა კრამიტით.

ორშაბათს ავტობუსის გაჩერებამდე თოვლის გვირაბით მივიდა სალომე. თეთრ კედლებს მხო-

ლოდ თავი სცილდებოდა და თეთრი ფერის გარდა გარშემო არაფერი ნახილავდებოდა. მოყინული ზედაბირი მზეზე უმეიკის ხარკვლავებამდ ინთებოდა, ბრწყინავდა და თვალს ტკივილით ახუჭინებდა.

არაფერი არ მოძრაობდა. მოხალისენი ფეხით შეუდგნენ ცამეტკილომეტრიანი ტრასის დაფარვას.

„არა, გეთავყა, მართონულ რბენაში მე პასი ვარ.“ თამაშარე გადგა და სახლში მობრუნდა. მაგრამ გულმა არ მოუსვენა. — თთარი ნატყვიარი ფეხით ვერ მიაღწევდა იქამდე და, თუ ის ხალხი მაინც გამოიყვანეს სამუშაოდ, ცხვრის ფარასავით უმეიკონი იქნებიან უპატრონოთ.

ისევ გარეთ გავიდა და უკვე კარგად გაკვალულსა და დატკეპნილს გაჰყვა. პირველი ნაბიჯები გაუჭირდა, კინაღამ წაუტირა კიდდეც, მაგრამ მალე გახალისდა. გათბა და ლოყებზე ტიაკოკონა დაენტო. თანაბარი ნაბიჯით მიდიოდა. გულს აჩქარება არ უგრძენია, არც სიმარტოვე, რადგან ამ უჩვეულო მგზავრობას დღეობაზე შეკრებილებივით გაემხიარულებინა ხალხი. უცნობები იყვნენ და ვერ აპყვა ოხუნჯობაში, ოღონდ ძალიან კი გახალისდა.

თავის ობიექტს შორიდანვე ჰკიდა მზერა, მაგრამ ვერაფერი გარჩია. გარშემო მიმოიხედა, გადასახვევი ხომ არ შემეშალათ. ყველაფერს თოვლის ზეწარი ფარავდა და აერთიანებდა. ფეხს აუჩქარა, ახლა სულ მარტო მიდიოდა თოვლის მალალ ორღობეში კისერდაგრძელბეული. ტიშკარი ღია დახვდა. პირველი, რაც საკუთარ ობიექტზე თვალში მოხვდა, უცნობები იყვნენ. თავისიანები ვერ შეამჩნია. ზევით აიხედა. ცნობიერებამდე ვერ მიაღწია დახასულმა. თვალები დასუჭა. როცა გახალისა, სახარელი სურათი წარმოუდგა თვალწინ. მაინც არ დაიფურა. სულ ახლოს მივიდა. დააკვირდა, დააცქერდა, სანამ გონება იაზრებდა, გულმა დაიკვნესა, დაიგმინა. მერე თითქოს თვალიდან ლიბრი გადაეცალათ, ნელ-ნელა გაარჩია: ჯერ საძირკველამობრუნებელი წაქცეული სვეტები დაინახა—გვერთობდათ დიდი მუხები ფეხებიანად ამოტურილებიათო, მერე — მიწაზე უსწორმასწოროდ გაწოლილი სახურავი. მთელი შენობა შუა ცენტრის საზისაკენ ჩაწოლილიყო, ჩაქცეულიყო, გაპარტახებულიყო. რკინის ჩარჩოებში მოთავსებული ავურის კედლები ისე წამოწოლილიყვნენ, არსად ეტყობოდათ ჩაშლა ან რღვევა. არც კოლონები გაღუნულიყო.

„უცებ არაფერი შენდებოდა, შვილო, უცებ მხოლოდ დანგრევა შეიძლება...“

„ისევ კეკლუცობთ, ჩემო ლამაზებო?“ — მოეფერა შორიდან და უცებ გულთან მუხრუჭების ძოყერი ხრჭიალი იგრძნო. ცოტაც და იკივლებდა, იყვირებდა, ქვეყანას შესძრავდა. გაყინული ხელით ცხვირსასოცი მიიფარა პირზე და ჩაახველა. მაინც ვერ გაიყურა ტკივილი.

გარშემო რაღაცაზე მსჯელობდნენ. სახელმწიფო ზარალს, თუ ნგრევის მიზეზებს ირკვევდნენ. ერთნი პროექტიდან გადახვევას ვარაუდობდნენ, მეორენი — მასალების უხარისხობას. იქვე იდგა „როგორმედ“ მონათლული უბნის უფროსი. სახე ცვილისაგან გაკეთებულს მიუგავდა. „ახლა ფიქრობს: ოღონდ როგორმე პასუხისმგებას გადა-



ვრჩეო,—გაუგლვა ქალს.—ბატონი სიმონის გულის მკურნალობა კი სულ ცოტა ერთი წლით გადაივადებს. ოთარს როგორ დაღრეჯია სახე? ასე შეწუხებული ჯერ არ მინახავს. მაგრამ სამუშაოსადმი გულგრილობის ბრალდებისა სულაც არ ეშინია. „როგორმესავით“ კი არ არის. თითოეულ ნაქერს და შეუღლებას ზეღის გულივით იცნობს. შაბათს მითხრა: ალბერტმა რომ ალიყური აჭამა, ის შოფერი პასუხისცემაში მისცეს. ბეტონი, საფე მანქანას კაკომ თვალი მიადუნა და ბლიაძეების სახლთან დაცლილს მიასწროო. სამსახურიდან გასაგდებად მაშინდელი ამბავიც ეყოფოდაო, მაგრამ... მაგარი ის იყო, რომ თავისებური გულთმისნობით მიხვდა: მე არ მინდოდა საქვეყნო გამხდარიყო ის სცენა... არც თვითონ გამოჩნდა, კაკოს დაეაღა იმ შოფრის პატვისსცემა. მეგონა, არაფერი იყოდა... რას გამოაპარებ, წიგნივით კითხულობს სხვათა თვალებსა და გულებს... ეპ, შოფრის ქურდობა რა მოსატანია ამ ზარალთან... თუ ეს შართლა თოვლის ბრალია, ათას წელიწადში ერთხელ მომხდარი შეცდომა ყოფილა. კიდევ კარგი, კვირა დღე იყო და მსხვერპლი არ არისო... კიდევ კარგი, მაგრამ განა ჩემი გული მსხვერპლი არ არის? —ქალმა ისევ ნანგრევები მოათვალიერა.—რაღა ჩემი დაინგრა. ყველაზე მაღალი და ლამაზი იყო და იმითომ“ — და გული ისევ შეეკუმშა დიდი შრომის დაკარგვისა და უძილო ღამეების ტყუილობრალოდ გათენებისათვის. „გულის ტკივილის დროს პაერი უნდა ჩაისუნთქო“ —გაამსუნდა ვიღაცის ნათქვამი. პირი ფართოდ გააღო, პალტოში ხელი შეიკურა და მკერდზე მიიღო, მერე გამშრალი თვალებით იქაურთა მოათვალიერა. ისევ მიეძალა ყვირილის სურვილი.

„დიდებ!“ — სასოწარკვეთით გასძახა ფიქრში. „იტირე, შვილო, იტირე, თუ შეგიძლია. ეგ სხვა ტკივილია. სადაც შენი ოფლის წვეთი არ ჩაიღვენება, ის არც გულზე მოგეჭიდება. გამოცდილების შექენა ვარდყვავილების კრეფა როდია, აბ-სამსალის ყლაპვა. აკი, არ მიყვარსო ჩემი საქმე. ახლა ხომ გამოსცადე თავი, გენაცვალს დიდებ!“ მოფერებამ უფრო დაუწყლიანა თვალები, ვიდრე დარიგებამ. ისევ ოთარს შეანათა ორი ნაკვერჩხალი და როცა იქაც თანაგრძნობის სითბო დაინახა, მოსაწყვეტად გამოზადებული კურცხალი ვეღარ დაამაგრა წამწამებზე. „ნეტავ იმას, ვინც შენი ცოლი გახდება“ — პირველ წამს მაინც ქალმა აჯობა ინჟინერს. მერე თავის დასახიჩრებულ კეკლუცს გადახედა და ზურგისაკენ გაბრუნდა.

არავის მოუხედა მისკენ. მხოლოდ ოთარმა დაადგინა მზერა. როცა უცხო თვალთაგან მიეფარა, გულამომჯდარი აქვითინდა. ახლა არც თავის გაჭირვებას და უძილო ღამეებს მისძახოდა, არც იმ კედელში გიგას თუ ალბერტის ჩაღვრილ ოფლს; მომავალ სიმწარებსა და გაჭირვებებს დასტიროდა. ახალ სიძნელეებსა და საჯაფარს, რომელსაც ვეღარსად გაეჭეოდა, რადგან სიყვარულის უხილავი და მაინც უწყვეტი ძაფით გადასჯაჭვოდა ამ საქმეს.







ქართული  
გაზეთთა  
კავშირთა

# მევენა ნაპოვნის ქაღვალე

ამერიკელი მწერლის, ჯონ სტეინბეკის ერთერთი მოთხრობის გმირმა ზღვაში იპოვნა ზღაპრული სიდიდის მარგალიტი, რომელმაც ბედნიერების ნაცვლად განადგურება მოუტანა მის ოჯახს.

არა, ასეთი მარგალიტი მე არ შემხვედრია, ასეთი მარგალიტები არ იცის ჩემმა ზღვამ.

ჩემი ზღვა კეთილია, სათნო და გულმადლიანი. ჩემს ზღვას ბედნიერება მოაქვს ადამიანებისათვის.

იმ დილით ზღვა მშვიდი იყო, თითქმის უმოძრაო. მოშვილდულ წარბებს ქვემოთ ღრმად ჩამჯდარი ორი გიშური მაინც მოუსვენრად მიჯაჭვოდა მის ნაპირებს.

ქევისაში თერთმეტობედ წლის ბიჭუნა ფათურობდა. მუჭში დაგროვილ გამჭვირვალე ქვებსა და ნიჭარებს ზღვის მლაშე წყალში ავლებდა. ბიჭმა დედასთან მიიბრინა.

— დედიკო, ასეთია მარგალიტი?

გიშური გაბრწყინდა, აელვარდა, თითქოს უფრო ჩამუქდა. ქალი კისკისებდა.

— ნახე როგორ ბრწყინავს, შეიძლება ესაა მარგალიტი?!

ქალმა შვილი გულში ჩაიკრა.

ბიჭს წაკითხული ჰქონდა სტეინბეკის მოთხრობა. მან არ იცოდა, რომ ჩვენს ზღვაში ასეთ მარგალიტებს ვერ პოულობენ. არც ეძებენ.

ნამდვილი მარგალიტი მე სულ სხვაგან ვიპოვე. შავი ზღვიდან ორასიოდ მეტრის დაშორებით, „მწვანე ზღვაში“.

ქალი და ბიჭი ზღვიდან ამოვიდნენ. მე ისინი სახლამდე მივაცილე. ბიჭმა ჩანთა მოიგდო ზურგზე და სკოლისაკენ მოჰკურცხლა. ფადიმემ ტილის ქუდი და კალათი გამოიტანა. ნათელი ღამილითა და ტკბილი საუბრით გამიძღვა პლანტაციებისაკენ.

ფადიმეს ჯადო აქვს თითებში: ვერა და ვერ შევასწარი თვალი, როგორ მიფრინავენ ახლანდელი მწვანე ფოთლები ფადიმეს უკიდვგანო კალათაში.

— ოცი წელია ჩაიში ვტრიალებ, თვალი რომ დაეზუტო, თითები თავისთავად აგნებენ დუყებს.

ოცი წელი...

ხანდაზმული არ გეგონოთ ფადიმე. ოცდაათი წლის ძლივს იქნება. ადრე გაეცნო შრომას, ადრე დაიმეგობრა „მწვანე ზღვა“.

...თორმეტი შვილი ჰყავდა სარჩენი მურად ზაქარიადეს. თორმეტი კაბა-ზალათი უნდა შეეკერა ხატიჯეს, თორმეტი დაღებულ სხა უნდა დაეპურებინა ცოლ-ქმარს.

ჯერ უფროსი და, ემინე გავიდა ჩაიში. ემინეს აიშე გაჰყვა, მერე ნურიე... ბოლოს პატარა ფადიმეც აიტუზა სოფელ ქაქუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ახმედ სტამბოლიშვილის წინ.

— რაო, გოგო, შენც უნდა კრიფო ჩა?!

გიშრისთვალემა გოგო ყაყაროსფრად წამოენთო.

— კარგი, ბიძიკო, კრიფე, ცოტას მაინც წაადგები ოჯახს.

ფადიმე გამოცდილი მეჩაიე ქალების — ბესირე ზოიძის, ზურიე ოქროპირიძის, სულთან და ზექიე ბერაძეებისა და სხვათა დახმარებით სულ მოკლე დროში ისე გაიწაფა, რომ ყოველდღიურად 130-140 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფდა. მერე ამ რიცხვმა 200 მიაღწია და ფადიმეს მოწინავე მეჩაიის სახელი გაუვარდა. მაინც ვერ ისვენებდა გოგო, შუქურების ბედი იტაცებდა.

ქაქუთიდან ოჯახი ქობულეთში გადასახლდა. ძმები დავაჯვაცდნენ, საკაცო საქმეს მიჰყვეს ხელი. დებს ბედმა მიაკითხა და სხვადასხვა მხარეს დააფრინა — აიშე ლეღვაში გათხოვდა, ნურიე

ბობოყვათში დამკვიდრდა, ემინე ქმარ-შვილით ქაქუთშია. მწვანე ოქრო ისევ უხვად გადმოსჩქეფს მათი თითებიდან, ჩაიში ტრიალებენ ისევ.

ქობულეთის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მაშინვე ეწვია ახალმოსახლეებს. გაეგო ფადიმეს ქება.

— ჩაი ხომ არ მოიძულე, ფადიმე, ოჯახი წელ-გამრთული გაქვთ, და...

— რას მიჩივი, თავმჯდომარე, უჩაიოდ ერო დღესაც ვერ გავძლებ.

გაიხარა თავმჯდომარემ, გაიხარეს შავი ზღვის მადლით გაპოხიერებულმა მწვანე ოქროს მწკრივებმა. ფადიმე ალაღივით დააცხრა ბურქებს. ბრიგადირი საშურა ჩახუნაიშვილი ყველა კბილს ერთად აჩენს და ქვეშ-ქვეშ გამოშინრალ მეჩაიე გოგონებს უცაცხანებს:

— შეიძლება არ მოგწონთ, აა?

მერე ისევ იკრიჭება და ისე ამყავდ იღვრებს კისერს, თითქოს ფადიმე ზაქარიადე მისი კონსტრუქციით აგებული უნივერსალური მანქანა იყოს. „რასაც დასთეს, იმას მოიმიკო“, — ქართული ანდაზაა.

მართალია, ფადიმეს კუთარი მარჯვენით არ გაუშენებია ეს თვალუწვიდენელი პლანტაციები, მაგრამ მისი მოვლა-პატრონობა ხომ მის ხელთაა.

უსხე მოსავლისათვის ბრძოლას ჩაის კრეფის სეზონის დამთავრებისთანავე იწყებს. ნიადაგის დაბარვა, სასუქების შეტანა, თხრილების გასუფთავება, სარეველების ამოძირკვა, გასხვლა, ისევ სასუქი: წუნწუნი, ფოსფორი, კალიუმი, აზოტი... ყველას ჩამოთვლა ძნელია. ამ საქმიანობაზე უფრო მჭერმეტყველად ციფრები ლაპარაკობენ.

1960 წელი. 0,7 ჰექტარზე გვემით გათვალისწინებული 2,6 ტონის ნაცვლად 6 ტონა ჩაის ფოთლი მოკრიფა ფადიმემ.

1962 წელი. ამავე ფართობიდან 5 ტონის ნაცვლად 11,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლი ჩააბარა.

1963 წელი. გვემით 6 ტონა ჰქონდა ნავარაუდები, მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 12,211





კლოგრაში მწვანე თქრო.

მაშინ ოცნება სინამდვილედ ექცა ფადიმეს. ჩაის კრეფის გეგმა 200 პროცენტით შეასრულა და სოციალისტური შრომის გმირის სახელიც მოიხვეჭა.

— ნენავ, რა იქნება, რომ ამ ფულით ახალი სახლის მშენებლობა წამოვიწყოთ? — ალერსით ეუბნება 80 წლის ხატიჯეს სახეგაბადრული ქალიშვილი, თან ჩაიში აღებულ დოვლათს კალთაში უყრის, — ეს ჩემი წლიური გასამრჯელო, 4.200 მანეთი, ესეც, 1.195 მანეთი, დამატებით ანაზღაურება, უზარმაზარ ოდას წამოვჭიმავეთ, ნენავ!

ხატიჯე თვალებს არ უჯერებს, ამდენი ფული სიზმარშიაც არ უნახავს.

— შენ იცი, ნენა, შენ იცი და შენმა ვაჟაკებმა. ენვერს დაეკითხე მაინც.

ენვერ ნოღაიდელს, ფადიმეს მეუღლეს საწინააღმდეგო რა ექნება, მაინც თაკილობს კაცი:

— რავა, დედაკაცის ფულით ავაშენო სახლი? მე მარჯვენა მომჭრეს ოუ?

ფადიმე ჯადო-გიშერს მაცდურად აელვებს და... ფარ-ხმალს ყრის ვაჟაკი. ოჯახის წევრები ოხუნჯობენ:

— ამას ჰქვია: ჩაის ვკრეფ, ჩაიში ვდგავარ, ჩაი დამხურებს თავზედა.

...ეს იყო მიმდინარე წლის თებერვალში, მოწინავე მკრეფავთა შერგებაზე.

ახალი თავმჯდომარე — ლევან კაკალაძე კოლმეურნეობის გასული წლის შედეგებს აჯამებდა, ახალ ვალდებულებებზე ლაპარაკობდა:

ამხანაგებო! გასულ სამეურნეო წელს ჩვენს კოლმეურნეობას გეგმით 400 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი უნდა მოგვკრიფა და ჩაებარებინა სახელ-

მწიფოსათვის. ფაქტიურად მოგვკრიფეთ და ჩაებარეთ 463 ტონაზე მეტი. წლეულს უფრო მეტს გვისრულობთ — გეგმით გათვალისწინებული 420 ტონის ნაცვლად 510 ტონა ხარისხოვანი მწვანე თქრო მივიცეთ საშობლოს. ამ ვალდებულების შესრულებაში დიდად დაგვეხმარება ახლადშემქნილი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, რომელსაც მოწინავე მექანიზატორი ვასილ ლლონტი მართავს.

ვასილ ლლონტი: ჩაის კრეფის გეგმა 38 ტონას ითვალისწინებს. მე კი, პირობას ვიძლევი, ეს რიცხვი 50-მდე გავზარდო.

მერე მეჩაიე ქალები გამოვიდნენ და... გაუტიეს და გაუტიეს...

გულიკო თქროპირიძე: ვალდებულებას ვკისრულობ გეგმით გათვალისწინებული 4 ტონის ნაცვლად 7 ტონა ხარისხოვანი მწვანე ფოთოლი ჩაებარო სახელმწიფოს.

ნათელა ორაგველიძე: 6 ტონის ნაცვლად 12 ტონას მოვკრეფ.

ბესიკე ნოღაიდელი (სოციალისტური შრომის გმირი): ორმაგად შევასრულებ გეგმას, 14 ტონა ჩაის მოვკრეფ ჩემს ნაკვეთზე.

მედიკო გოგიტიძე: გეგმით 8 ტონა მაქვს გათვალისწინებული, პირობას ვიძლევი 15 ტონა მწვანე თქრო მოვკრიფო, მეგობრებო!

ყველამ თქვა სათქმელი.

— ფადიმე სად არისო? — კითხულობს თავმჯდომარე.

სად იქნება, კრებაზე ისიც: კუთხეში წყნარად მიმჯდარა და გიშერა თვალებს აელვარებს და აელვარებს.

— თქვიო, — ანიშნებს თავმჯდომარე. ფადიმე ნოღაიდელი: გეგმით მეც 8 ტონა უნდა

მომეკრიფა, მაგრამ თუ მედრო გოგიტიძემ — 15 ტონის მოკრეფა ივალდებულა, არც მე ჩამოვარდნილი, მეც 15 ტონა ხარისხოვანი მწვანე თქროს კრეფას ვკისრულობ და სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ მედიკო გოგიტიძეს.

ფადიმე მერე დიდი სურვილიც ვერ დამალა: სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოეწვია თავისი უფროსი და, ქაქუთის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ემინე ჯაქარიაძე, რომელსაც 0,7 ჰექტარ ფართობზე 15 ტონა ჩაის მიღება აქვს გადაწყვეტილი.

ტაროსზე განაწყენებული იყო თავმჯდომარე, მას-ივნისის წვიმებმა ლამის გადაათქმევინა სათქმელი, მაგრამ...

— მაგრამ ასეთი ვარსკვლავების იმედი უნდა მქონდეს, სომე? — ღიმილით და აშკარად დაუფარავი სიამაყით მეუბნება თავმჯდომარე.

ოლონდაც.

...ფადიმეს და მის ბიჭუნას ხშირად ვხვდები ლურჯად მოკამკამე შავი ზღვის ნაპირზე. ბიჭი აღარ ეძებს ლამიან ქვიშაში ზღაპრულ მარგალიტებს. მისი გაცისკროვნებული, დიდრონი თვალეები შორეულ პორიზონტს გასცქერის. იქ, ცისა და ზღვის გასაყარზე, მეთევზეთა ვერცხლისფერი სენიერი შეუპოვრად მიაპობს ტალღებს. ბიჭი ოცნებობს ზღვაზე, გემზე, მომავალზე.


ჯონ სტეინბეგის მოთხრობის გმირი აღარავის ახსოვს.

მარგალიტები ხმელეთზე იბადებიან და... ზოგჯერ ზღვაც იტაცებს მარგალიტებს.

ჩემს ზღვას ბედნიერება მოაქვს ადამიანებისათვის.

ჰატივან დეისაძე

# საინტერესო შეხვედრა



საინტერესო საღამო ჩატარდა თბილისის ი. ჯავახიძის სახელობის კულტურის სახლის საზაფხულო ბაღში: ამ სახლის გამგეობამ და მედემუშაკთა პროფკავშირის კალინინის რაიკომმა შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ ქალებს.

მოხსენება — „მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ქალები“ წაიკითხა პროფესორმა ნევრესტან შაშიკაშვილმა.

შეკრებილთ გულთბილად მიესალმნენ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი პროფესორი პეტრე გელბახიანი, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რექტორი პროფესორი გიორგი ხუნდაძე, აკადემიკოსი კონსტანტინე ერისთავი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ეთერ ლლონტი.

ი. ჯავახიძის სახელობის კულტურის სახლის დირექტორმა ა. შავიშვილმა წაიკითხა დადგენილება დოქტორი ქალების მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სიგელებით დაჯილდოვების შესახებ.

შეხვედრის მომწყობთ დოქტორი ქალების სახელით მადლობა გადაუხადა პროფესორმა დარია ბერეჟიანმა. დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი.





# ვასის ჭიშკის ბალოყვანი

თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის დოცენტი ნადეჟდა ჩახნაშვილი 35 წელია ემსახურება სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრების აღზრდის საქმეს.

ნადეჟდა დავითის ასული ჩახნაშვილი დაიბადა 1894 წელს თელავში, მასწავლებლის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო სიღნაღში, შემდეგ გადმოვიდა თბილისში და სწავლა გააგრძელა ქალთა პირველ გიმნაზიაში. 1911 წელს იგი ამთავრებს გიმნაზიას და იწყებს მუშაობას საშუალო სკოლებში მა-

თმატიკის, ფიზიკის და ქიმიის მასწავლებლად.

სოფელმა, მშობლიურმა კახეთმა, მისმა მადლიანმა მიწა-წყალმა, ბალ-ვენახებმა წარუშლელი კვალი დასტოვეს მასზე. ნადეჟდა დავითის ასულმა შეიყვარა სოფლის მეურნეობის კულტურები და მათ შორის ყველაზე მეტად ვაზის კულტურა; ამ სიყვარულის შედეგი იყო, რომ იგი 1918 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე და პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობასაც განაგრძობდა.

1923 წელს ნადეჟდა ჩახნაშვილმა წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი, 1927 წელს იგი მიიწვიეს უნივერსიტეტში აგრონომიული ფაკულტეტის მევენახეობის კათედრაზე.

თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების შემდეგ ნადეჟდა დავითის ასული განაგრძობს მუშაობას მევენახეობის კათედრის ასისტენტად. 1930 წლიდან იგი აწარმოებს ვაზის ანატომიაში ლაბორატორიულ მუშაობას მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის სტუდენტებთან. აღსანიშნავია ის, რომ




ვაზის ანატომიის კურსის სწავლება მე-ბალეობა-მევენახეობის ფაკულტეტის სტუდენტებთან შემოდებული იყო მევენახეობის კათედრის დამაარსებლის, აკადემიკოს სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილის მიერ, ხოლო დღემდე ამ კურსის საუკეთესო ხელმძღვანელად ითვლება ნადეჟდა დავითის ასული. იგი სხვა ფაკულტეტებზეც კითხულობს ლექციებს.

1933 წლიდან ნადეჟდა დავითის ასული მივლინებული იყო ლენინგრადში, მეცენარეობის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის განყოფილებაში მცენარეთა ყინვაგამძლეობისა და გვალვაგამძლეობის საკითხებზე მუშაობის მეთოდის შესასწავლად. აქ იგი 8 თვის განმავლობაში მუშაობდა პროფესორ თუმანოვის ხელმძღვანელობით.


1935 წლიდან 1940 წლამდე ნადეჟდა დავითის ასული შეთავსებით მუშაობდა თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტში მცენარეთა ანატომია-ფიზიოლოგიის განყოფილებაში მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე.

ნადეჟდა დავითის ასულმა ადრე დაიწყო კვლევითი მუშაობა. მან 1941 წელს დაამთავრა სამეცნიერო შრომა თემაზე: „თერმოდენისექტორის გავლენა ვაზის რქაზე“. 1942 წელს ამ თემაზე დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. სადისერტაციო

5. ჩახნაშვილის მიერ შექმნილი ყურძნის ახალი ჯიშის „თბილისური“



5. ჩახნაშვილი სტუდენტებთან



5. ჩახნაშვილის ნაშრომები

შრომაში დამუშავებული მთელი რიგი საკითხები დანერგულია წარმოებაში, შეტანილია აგროწესებში და მევენახეობის სახელმძღვანელოში.

1944 წლიდან ნადეჟდა დავითის ასული ითვლება მევენახეობის კათედრის დოცენტად. იგი მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორია. მისი პირველი შრომა გამოქვეყნდა აკადემიკოს სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილთან თანავტორობით. 1930 წელს გამოვიდა ნაშრომი პროფესორ ალექსანდროვთან თანავტორობით. ნადეჟდა ჩახნაშვილი წერს დამოუკიდებელ შრომებს, როგორც ანატომიურ ისე აგროტექნიკურ საკითხებზე. მას „საკავშირო ამპელოგრაფიისათვის“ დამუშავებული აქვს შრომები ქართლში გავრცელებულ 4 ადგილობრივ და ორ ევროპულ ვაზის ჯიშზე, რომლებიც თანმიმდევრობით ქვეყნდება.

1953 წელს გამოვიდა ნადეჟდა ჩახნაშვილის სახელმძღვანელო „ვაზის ანატომია და მორფოლოგია“, რომელიც

პირველია საბჭოთა კავშირში. წიგნში გაშუქებულია ვაზის ანატომიის ძირითადი საკითხები, რაც აუცილებლად უნდა იცოდეს მევენახეობის სპეციალისტმა.

1950 წლიდან მევენახეობის კათედრა მუშაობს ვაზის ახალი ჯიშების გამოყვანაზე. ნადეჟდა ჩახნაშვილი განუზომელი სიყვარულით ქმნის სუფრის ახალ ჯიშებს — „თბილისურს“, „მუხრანულ რქაწითელს“, „სადვინე მუსკატს“ და სხვებს.

დაულალავი, კეთილსინდისიერი, საქმისათვის თავდადებული, პრინციპული, კეთილი, მუდამ ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე, გატაცებით მუშაობს ყოველთვის. მისთვის არ არსებობს განსაზღვრული საათები, მუდამ შრომობს, მუდამ იღწვის. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ მუშაობას აგრძელებს შინ: ეცნობა სტუდენტთა სადიპლომო შრომებს და დისერტაციებს.

ათეაზან ვაგაიძე





**გვინაა?!**

**თაზარ ჩხაიძე**

**მ ო თ ხ რ ო ბ ა**

მხატვარი ნანა მესხიძე

იმ დღესაც მიიჩქაროდა გულნაზი შინისაკენ, იმ დღესაც მიჰქონდა იები და თაფლის კვერები.

„ბაღლივით უყვარს ჭუმბერს თაფლის კვერები. უყვარდა“, — შეასწორა თავისი ნაფიქრალი.

„იებიც უყვარს, გაზაფხულის თვალებს ეძახის. ეძახოდა“, — კვლავ შეუსწორა თავის თავს გულნაზმა და აჩქარებით გაჰყვანაცნობ ქუჩას. ფიქრებიც მისდევდნენ გულნაზს მხარდამხარ.

— აი აქ, ამ ჭადართან ელოდა ჭუმბერი გულნაზს ლურჯთვალემა იებით ხელში. აი იქ, ცოტა მოშორებით, პიონერთა სასახლესთან შეეგება ჭუმბერი წვიმიან ამინდში გაშლილი ქოლგით. აი აქ კი, ამ ალაყაფის კართან, ჩასჩურჩულა პირველად:

„მე თქვენ მიუყარხართ, გულნაზ!“ ეს იყო ათი წლის წინათ,—ამ ფიქრით შევიდა გულნაზი ოთახში. იები ბროლის სურაში ჩააწყობ, თაფლის კვერები დაწნულ თეფშზე დაალაგა, ცოტაც გასწია, თითქოს ვიღაცას მიართვაო.

სიჩუმე უღარაჯებდა გულნაზს ოთახის ოთხივე კუთხიდან.

„რა საშიშია სიჩუმე!“ — ფიქრობს გულნაზი და ფეხაკრეფით მიდის სავარძლისაკენ.

სიჩუმეს თითქოს უღრენს ხახადღებული, თეთრკბილემა ფორტუპიანო. მეორე გვერდზე შეწყვეტილა ბეთოვენის „მთვარის სონატა“. ეტყობა, აღარ გადაფურცლულა.

ღრმად ჩაეშვა გულნაზი რბილ სავარძელში. უცებ მოხრილა, მოტეხილა უცებ. ჩარჩოდან მას სხვა გულნაზი უცქერის: მხიარული, ბედნიერი. ჰაეროვანი საკონცერტო კაბა აცვია; ხელთ თაიგული უჭირავს. ფართოდ გაუხელია შუქჩამდგარი შავი თვალეები. ტუჩები ღიმილს გაუბია. შიშველ მხრებზე კულულები დაჰფანტვია.

„რა ლამაზია ის გულნაზი, რა ბედნიერი! ჭუმბერმა დახატა ეს პორტრეტი ათი წლის წინათ!“ — გაუელვა მწარედ გულში.

მაშინ გულნაზი სცენაზე მდგროდა. ო, რამდენი ყვავილები მოსლიოდა, რამდენი ბარათები...

და მათ შორის ერთი—სულ პატარა, ლურჯ-

თვალემა იების თაიგული. ბარათი არ ახლდა თაიგულს, მხოლოდ იების ფართო ფოთლებზე ეწერა ქინძისთავის წვერით: „გულნაზი-ჭუმბერ“, „გულნაზი-ჭუმბერ“. კითხულობდა გულნაზი ამ წარწერას და იციწინოდა ბავშვივით.

— რა გაციებთ?! — ეკითხებოდა გულნაზს თმაშვერცხლილი კომპოზიტორი — კონცერტმეისტერი.

— ბაღლი, ვიღაც ბაღლი, თამაშობით ერთობა, — ამბობს გულნაზი სიცილით.

— იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის, — რატომღაც ნერვიულად ეუბნება გულნაზს კომპოზიტორი.

...ფეხმარია გაზაფხული. დღე-დღეს მისდევს, იებით და ტკბილი ჰანგებით სავსე დღეები.

— იები, ისევ იები?! — ამბობს ყოველდღე კომპოზიტორი და სულ უფრო და უფრო ძლიერ შფოთავს.

მაგრამ იებს წინ ვერაფერი უდგება. იები, იები, წარწერით ფოთლებზე: „ჭუმბერ-გულნაზი“, „გულნაზი-ჭუმბერ“.





ფეხმარდია გაზაფხული.  
 „საცა იებიც მოიღვეო“, ფიქრობს გულნაზის აკომპანიატორი. მაშინ ეტყვის, მაშინ გაუხსნის გულნაზს სანუკვარ ოცნებას, მხარდამხარ ივლიან, ერთი გზით... მაგრამ იების მოღვევაზე ადრე მის იმედს მოელო ბოლო...  
 ერთ დღეს გამაზირზე, ჰადრის ხესთან გულნაზს შვავგრემანი ვაჟი დაუხვდა, იებით ხელში.  
 „ის არის!“ — უთხრა გულნაზს გულმა.  
 — შე ჭუმბერი გახლავართ! — შიმართა გულნაზს თვალთა ციმციმით და იები მიაწოდა.  
 „დამეხსენით, თქვენ ჩემთან რა გესაქმებაო?“ — უნდა ეთქვა გულნაზს, მაგრამ ალუბლისფერმა ტუჩებმა გაოცებით თქვეს: — ჭუმბერი!  
 და გზას გაუდგინა ერთად.  
 და საოცრად შემცირდა ქუჩა. უცებ გათავდა სახლამდე სავალი გზა.  
 „რა ახლო ვცხოვრობ!“ — ინანა გულნაზმა გულში.  
 — რა ახლო ცხოვრობო! — ინანა ჭუმბერმა ხმამაღლა.  
 და სახლს გვერდი აუარეს.  
 ასე იარეს უგზოუკვლოდ, უსიტყვოდ. მანამ, სანამ ღამემ ნათელ დღეს შავი ნაბადი არ მოახურა.  
 ისევ იმ გზით მიდიოდა გულნაზი, როცა უეცრად გაწვიმდა, ჭუმბერიც უეცრად გაჩნდა გაშლილი ქოლგით ხელში.  
 კვლავ იარეს უგზოუკვლოდ, მხარდამხარ, ქოლგას შეფარებულებმა.  
 — ქოლგა თითქოს სოკოა! — თქვა გულნაზმა მხიარულად.  
 — ჩვენ კი ზღაპრული ცეროდენები! — სთქვა ჭუმბერმა.  
 — წვიმა თითქოს სირმებია! — თქვა გულნაზმა.  
 — ჩვენ კი სირმით დასაქარგები! — განაგრძო ჭუმბერმა.  
 კიდევ ერთი გაზაფხულის დღე იებით და ჰანგებით სავსე. ჭუმბერმა გულნაზი კარებამდე მიაცილა. ჭუმბერი კარს გასცილდა. გულნაზი კი კვლავ კართან იდგა და ჩუმად იმეორებდა ჭუმბერის სიტყვებს:  
 — შე თქვენ მიყვარხართ, გულნაზ!  
 არაფერი არ თქმულა მათ შორის ამის გარდა, არც არაფერი გამოჩვენებულა. გამოეკვინნენ მხოლოდ მაშინ, როცა შეუღლდნენ.  
 — შენ ჩემზე პატარა ხარ, ჭუმბერი! — თქვა გულნაზმა შეშფოთებით.  
 — იმ, რას ამბობ, ცეროდენავ? — იცინოდა ჭუმბერი.  
 — უფროსი ვარ, უფროსი! — შფოთავს გულნაზი.  
 — მერე რაა, მერე რაა, მაინც მუდამ შეყვარები! — არწმუნებდა ჭუმბერი და მართლაც ძლიერ უყვარდა.  
 მხოლოდ გულნაზს ხატავდა ჭუმბერის ყალბი: გულნაზი მფრინავი, გულნაზი კოლმეურნი, გულნაზი მშენებელი, გულნაზი სცენის დედოფალი!

მხოლოდ ერთი გოგონა დახატა გულნაზის გარდა, ისიც გულნაზის თხოვნით.  
 — დახე, დახე, რა წარმაცია: თვლები წვეილი იები, წარბები იის ღერები, კაბა იის ფოთლოლი! — იცინოდა გულნაზი, გოგონას კი დაჟვავებით ეუბნებოდა:  
 — ნუ გეშინია, ლეილა, ძია ჭუმბერი კეთილია.  
 ეს იყო და ეს, სხვა არაფერზე გარჯილა ჭუმბერის ფუნჯი.  
 — განა ჩემთვის ამთავრებდი აკადემიას? — იცინოდა გულნაზი.  
 — შენთვის! შენთვის! — შესძახოდა ჭუმბერი, — შენც ხომ მხოლოდ მე მიმღერი „მხოლოდ შ-ენ ერთს“, — აჯავრებდა გულნაზს.  
 ჩქარა მიჰქროდნენ ბედნიერებით ხავსე დღეები. დღე დღეს ღიმილით მისდევდა. ის დღეც ღიმილით უცქერდა გულნაზს, როცა კონცერტზე შავფარკიანმა, მკერდქათათა კომპოზიტორმა გაბზარული ხმით უთხრა:  
 — უკანასკნელად ვუკრავ, გულნაზ!  
 — უკანასკნელად? — გაიოცა გულნაზი და იქვე დაურთო სიცილით: — ვიცი, ვიცი, ალბათ, გასტროლებზე მიჰყვებით ვინმეს? ჩქარა ისევ დაბრუნდებით.  
 — არა, გულნაზ, ჩემი გასტროლი უვადოა! — თქვა კომპოზიტორმა კვლავ ცრემლით გაბზარული ხმით, მაგრამ გულნაზს არაფერი შეუმჩნევია.  
 — მიღალატო, მაშ, მიღალატე! — უთხრა დაუდევარი სიცილით და აკომპანიატორი გამოიცვალა.  
 სიხარულს ხედავდა გულნაზი ირგვლივ, მხოლოდ სიხარულს.  
 სიყვარული მიაფრენდა გულნაზს ჭუმბერის მხარდამხარ. მერე რა თუ ჭუმბერზე უფროსი იყო. სიყვარულმა წლოვანება არ იცის. მსხვერპლი იცის სიყვარულმა და გულნაზმა გაიღო მსხვერპლად თავისი ხელოვნება.  
 — ეს თაიგული ვისია?  
 — ეს ბარათი ვისია?  
 — ვისთან იმგზავრე? — ეკითხებოდა ჭუმბერი გულნაზს ყოველი გასტროლის შემდეგ.  
 არ იმჩნევდა ჭუმბერი ტანჯვას, მაგრამ გულნაზი ამჩნევდა, რომ ის იტანჯებოდა, ეჭვიანობდა.  
 — ოღონდ შენ არ დამიღონდე, — ამბობდა გულნაზი გულნაზი. ხმამაღლა კი ხმას უჩიოდა: — ცუდად მიუღერსო, ყელიც მტკივაო. ბოლოს კატარი მომიწვეა და ჭუმბერს განუტყბადა: სცენას ერთი წლით თავს ვანებებო.  
 — უფრო კარგი, დაისვენებ, იმკურნალე. — გაეხარდა ჭუმბერს. ის კი სულ არ გაუგია, რომ ეს მსხვერპლი მისი გულის სამკურნალოდ გაიღო გულნაზმა. განა მხოლოდ ეს? ჭუმბერი გახდა მისი ცხოვრების მიზანი.  
 — ჭუმბერს სძინავს!  
 — ჭუმბერი ხატავს!  
 — ჭუმბერის გამოფენა!  
 — ჭუმბერს იები!

— ჭუმბერს თაფლისკვერები? მიჰქრის ცხოვრება, მიჰქრის წლები. გულნაზს ხანმა ვერცხლის სიმები გააფრთხილებს აქა-იქ.  
 — დეიდა გულნაზ, პრაქტიკაზე მივეშვავრები, მწვანე კონცსზე! — ეუბნება გულნაზს ლეილა.  
 — ბედნიერად! — ლოცავს გულნაზი. უმჯერს, უმჯერს და ფიქრობს: რა ლურჯი, ლურჯი თვლები აქვს, რა ოქროფერი ნაწვავი.  
 შეშხარის გულნაზი ლეილას, იმ ლეილას, რომელსაც გოგონას ეძახოდა, რომელიც ჭუმბერმა დახატა.



„პროფესია აქვს ლეილას — ახალი ჯიშის ყვავილებს აყვავებს. ჭუმბერს სიბლავს ლეილას ყვავილნარი. ჭუმბერიც დიდ ტილოს ამთავრებს, იქნებ შედეგს, მე კი ვინ ვარ?“  
 „ჰმ-ჰმ-ა-ა-ა-ა-ა — უნდა ამოიმღეროს, უნდა გასინჯოს უღერს თუ არა მისი ხმა, მაგრამ უცებ გაწითლდა და ქურდივით მიმოიხედა, ხომ არავინ შემნიშნაო.  
 — ეჰ, სიმღერა რა არის, ჩემი თავიც შემოევლოს! — თქვა ხმამაღლა და ბავშვურად გაიცინა.  
 გაზაფხულია. ია თვალს ახელს.  
 — ჭუმბერს იები უყვარს! — თქვა გულნაზმა იმ დღეს და იების დასაკრეფად ლეილას ყვავილნარში ჩავიდა.  
 ერთი ია, ორი ია, სამი. მაგრამ გულნაზი




„იმდერეთ ისე, როგორც ლაპარაკობთ!“ —  
იგონებს გულნაზი ნაცნობ სიტყვებს.  
— დიაფრაგმა, დიაფრაგმა! — ფურ-  
ტილებს თითქოს ვიღაცა...  
„ამ ფიქრით მიდის ფანჯარასთან. აკინძულ  
ციცინათელბით გულმობატულ დედაქალაქს  
გასცქერის. უნდა უთხრას რაღაც სასიყვ-  
რულო, და უცებ მანგი აღმოხდება:“

— მხოლოდ შენ ე-ე-რ-თ-ს!  
მანგი იზრდება, მანგი ფრთებს ისხამს, ფან-  
ჯრებს აწუდება, ქუჩაში მიჰქრის. რამ შე-  
ჩეროს სიმღერა? სიმღერას წინ რა დაუდ-  
გებს?

თავდაფიწყებით მღერის გულნაზი. რა ხმა  
შქონია, რა ნიაღვარი! „ჭუმბერს რომ ეცხო-  
დეს, ჭუმბერი რომ ხედავდეს, კვლავ დედო-  
ფლად დამხატავდა, განა მონად, განა თავის  
აჩრდილად? არა, არა, არავითარი ჭუმბერი,  
რაც დამთავრდა, დამთავრდა!“ — ფიქრობს  
გულნაზი და მღერის, თავდაფიწყებით მღე-  
რის. არც კარზე კაკუნს, არც კარის გაღება  
ესმის, მხოლოდ გრძნობს, რომ ვიღაც უც-  
ქერს, ვიღაც უსმენს ზურგიდან.


არც გაოცება, არც განრისხება გულნაზის  
მხრიდან.

„მე... მე... აი, ნახეთ, სიყვარულის ნამსხვ-  
რევებზე მოვაბიჯებ!“ — უნდა ეთქვა გულ-  
ნაზს, მაგრამ უცებ კომპოზიტორს ბავშვუ-  
რად გაუღიმა და ჩუმად წაიჩურჩულა:  
— მე სიმღერას დავუბრუნდი... გვიანაა?!



**როზა თავიდაშვილი**

— ვინ შეტამა დაშპრული მარწყვი?  
— შეეკითხა დედა პატარა მანანას.  
— ვინ შეტამა და ფისომ, — თამამად  
უპასუხა მანანამ.  
— შენ თითონ დანახე?  
— თითონ დავინახე, ტურებსაც კი  
ილოკავდა.  
— აბა შენ რატომ გაქვს ტურები წით-  
ლად გათხუნილი?  
— იმიტომ, რომ ფისო მეც გამიშახნი-  
ნდლდა, მარწყვი მიირთვია. სწორედ ქა-  
მის დროს წავახწარი და...



არ კრეფს, იებს ხელს არ ახლებს, ის ფარ-  
თოდ გახელილი თვალებით იის ფოთლებს  
აკვირდება. „ჭუმბერი“, „ჭუმბერი“ — კითხუ-  
ლობს ფოთლებზე ქინძისთავის წვერით წარ-  
წერილ ასოებს. ეს ლეილას ნაწერია. გულ-  
ნაზი ბაღიდან გარბის, ჭუმბერის ტილოებს  
ათვალთვრებს, პერსონაჟებს თვალები გაღურ-  
ჯებით, თმა გაოქროსფერებით. ეს კი,  
ეს ყვავილნარი ვისია? ეს ოქროსთმა  
მეყვავილე ვინაა? მისი სახე არ ჩანს:  
ის ამომავალ მზეს უცქერის. მაგრამ  
გულნაზსა იცის, რომ მას ლურჯი თვალები  
აქვს. და გულნაზი მიხვდა ყოველივეს.

სიყვარული იმით არის ძლიერი, რომ მას  
ფართო თვალები აქვს, გულის თვალები.

— მე შენ მიყვარხარ, ჭუმბერი! — ეწერა  
ლეილას თვალებში.

— მე შენ მიყვარხარ, ლეილა! — კითხუ-  
ლობდა ჭუმბერის გამოხედვაში.

— მშვიდობით, მშვიდობით, დეიდა გულ-  
ნაზ! — ემშვიდობებოდა ლეილა გულნაზს,  
ჰკოცინდა, ყელზე ეხვეოდა. ყველას ხელს არ-  
თმედა, მხოლოდ ჭუმბერს არიდებდა მზე-  
რას. ხელსაც არ ართმედა და არავინ, არა-  
ვინ არ ამჩნევდა ამას, გულნაზის გარდა.

ჭუმბერს ფერი ეკარგება, ლეილასაკენ გა-  
ურბის მზერა, მაგრამ მიწაში ჩაფლულივით  
დგას ერთ ადგილზე.

„ფეხმარდია გაზაფხული, საცაა იებიც მოი-  
ლევაო“, — ფიქრობს გულნაზი, მასინ ეტყე-  
ვის ჭუმბერს, თუ რას გრძნობდა, თუ რო-  
გორ იტანჯებოდა. მაგრამ იების მოლოდინზე  
ადრე გულნაზის განზრახვას მოელო ბოლო.

— რაო, ჩემო გულო ნაზო, რაზე მოგიწე-  
ვენია?! — ეკითხებოდა ჭუმბერი გულნაზს,  
თითქოს ავადმყოფს, თითქოს უსუსურს.  
თვითონ კი თვალებში ღარდი გამოუკრთო-  
და, მალული ღარდი.

„მოწყალება, სიყვარულის მოწყალება“ —  
ფიქრობდა გულნაზი ჭუმბერის ყოველ აღ-  
ერსზე. არც არასოდეს ეტყვის, რომ სხვა უყ-  
ვარს, არც არასდროს მიატოვებს.

არც ლეილა ატკენს გულს. ამიტომაც აჩ-  
ქარდა. განა იცის, რომ გულნაზი იის ფოთ-  
ლებს დააკვირდა? განა იცის, რომ ეს ჭუმ-  
ბერის ძველი ფანდია? მოწყალება, კვლავ  
მოწყალება. არც ერთმანეთს გაუმუდავებენ  
სიყვარულს. უმალ გულებს ამოიჭრიან, ვი-  
დრე გულნაზს გულს ატკენენ. იღონებენ,  
გრძნობენ ჩაიქოლავენ. არა, არა, ნუ! გულ-  
ნაზი თვითონ იღონებს რაიმეს.

იმ დღეს გულნაზს მაგიდაზე ბარათი დარ-  
ჩა: „გელოდი, რათ არ მოხვედი?“ ეწერა  
იმ ღია ბარათში.

იმ საღამოს იებით დაბრუნდა შინ გულნა-  
ზი.

— იები ვისია? ბარათი ვისგანაა? — ჰკი-  
თხა ჭუმბერმა.

— სხვისგან. მე სხვა მიყვარს! — აღმობ-  
ხდა გულნაზს გამყინავი ხმით და დაურთო:  
— ან მე წავალ, ან შენ უნდა წახვიდე. აბა,  
შენი ჩემოდანი, შიგ ყველაფერი რიგზეა...  
ამით მორჩა სჯა-ბაასი. ჭუმბერმა ჩემო-  
დანს ხელი დაავლო და კარი გაიხურა. თავ-

შალმოსხმული გულნაზი მიჰყვა ჭუმბერს  
ფეხდაფეხ ლენინის მოედანამდე, ქალაქის სა-  
დგურამდე.

— ერთი ბილეთი მწვანე კონცხამდე! —  
ამბობს საღაროს ფანჯარასთან თავდახრილი  
ჭუმბერი. იმას კი არ ამჩნევს, თუ როგორ  
განდა და როგორ გაშქრა ლანდივით სადგუ-  
რიდან გულნაზი.

არც მისი ჩურჩული გაუგონია — მწვანე  
კონცხზე მიდის, ლეილასთან მიდის...

შინისკენ მიდიოდა გულნაზი, მიჰქონდა  
იები და თაფლის კვერები.

„ჭუმბერს უყვარს. უყვარდა!“ — ისწო-  
რებს ნაფიქრალს და მიჰყვება შინისაკენ ქუ-  
ჩას. მო, რა გრძელია ეს ქუჩა, რა უხასრუ-  
ლო.

აბა! ძლივს მიაღწია. საგარძელში ჩაეშ-  
ვა და წარსული სიზმარივით მოიგონა.

მარტოდმარტოა გულნაზი. ახია მასზე. უნ-  
და გაიქცეს, დაეწიოს ჭუმბერს, უნდა უთხ-  
რას ყველაფერი, ვიცრუეო არც სხვა არავინ  
მიყვარს, იებიც მე ვიყიდე, ბარათიც მე თვი-  
თონ მივწერე ჩემს თავსო. დაუჭერებს ჭუმ-  
ბერი, არ მიატოვებს. გულს ამოიდებს საგუ-  
ლეოდან, მაგრამ გულნაზს გულს არ ატკენს.

ფეხზე წამოდგა გულნაზი, კვლავ თავშალს  
დააცხრა... კარისკენ გაეშურა. უცებ შე-  
დგა. არა, არა, არ წავა. რათ უნდა სხვისი  
გულის ტყვე!

„სხვისი გულის ტყვე!“ — ვისგან გაუგო-  
ნია გულნაზს ასეთი თქმა? კომპოზიტორმა,  
კომპოზიტორმა უთხრა. ახლა მოაგონდა გულ-  
ნაზს მისი ღარდიანი გამოხედვა, მუდამ  
უთქმელი სათქმელი.

— მე მას ვუყვარდი, აღბათი! — ამბობს  
გულნაზი და უკვირს, რამ მიახვედრა ახლა?  
ან რა ნისლი აეფარა მასინ?

\* \* \*

მარტოდმარტოა გულნაზი, სიჩუმე უღარა-  
ქებს ოთახის ოთხივე კუთხიდან.  
რა საშიშია სიჩუმე. პირდაღებულ შავ



# ვერსიონი გაყვანილი საქართველო

ამ ქალს არასოდეს არ სცმია ქართული კაბა, არც ჩისტკოები უტარებია თავსაბურად, არც საქართველოში დარწმუნდა მისი აკვანი. მაგრამ მასში არის საქართველოსადმი სიყვარულის დიდი გრძნობა.

ურვეგულ ბავშვობა ზედა წილად ელფრიდა ივანეს ასულს. მას არ დასცალდა დამტკბარიყო მშობლიური რიგის სილამაზით. დიდგვაროვანი ოჯახის არისტოკრატიული წესები, რიგის ქალთა გიმნაზიის ფანატურად მკაცრი რეჟიმი სულს უხუთავდა რეალისტი ლატვიელი კლასიკოსების — ბლანკისა და რაინისის საუკეთესო კმნილებებზე აღზრდილ გოგონას.

ფუფუნებაში გაზრდილს, არ ასვენებდა არდადეგების დროს მდიდარი ბიძის მამულში ნახული დაბეჩავებული გლეხების სახეები. გიმნაზიელმა გოგონამ გაიფიქრა, თუ რატომ ჩაგრავენ მდიდრები ღარიბებს. მან პირველმა მიიტანა გიმნაზიაში მშრომელი ხალხის საბრძოლო ფურცლები.

1905 წლის რევოლუციამ შეღწევა გერმანელი ბარონების მიერ დამონებული ბალტიისპირეთის ალკაფის კარი. მქლავრმა პოლიტიკურმა დემონსტრაციებმა და მასების ურვეგულ ალტინებამ მოიცვა რიგა. ამას მოჰყვა ბოლშევიკური ორგანიზაციების რბევა და პოლიციელთა თარეში. გასისხლიანდა ულამაზესი ტბა იუგლა.

ველარ აიტანა ქალიშვილმა რეაქციის სისხლიანი რეჟიმი და მგვობარ ქალთან ერთად 1908 წელს გამოემართა საქართველოსკენ, რომლის სიმშვენიერის შესახებ ადრეც ჰქონდა გაგონილი.

...მშობლიური ყველაფერი ლამაზია, მაგრამ საქართველო? ჰკვას იგი ბალტიისპირეთს? რა ღვთაებრივი სილამაზეა, რა ზღაპრული მშვენიერებაა! — ჩურჩულებდა ქუთაისს მიახლოებული უცხოელი ქალიშვილი. ცხოვრების უსამართლობით გამოწვეული მწუხარება ნაწილობრივ გაუფანტებ ლატვიელ ქალიშვილს პირველმა მასპინძლებმა — ალექსანდრე წულუკიძის ოჯახის წევრებმა.

აქ, ამ ოჯახში იგრძნო ქართული ენის ეშხი და სილამაზე, ქართული ლიტერატურის მშვენიერება. მოწიწებით გაიმეორა პირველი ქართული სიტყვა „დილა მშვიდობისა“. ქუთაისში იმ წელს გამართულ აკადემიის საიუბილეო საღამაზე დარწმუნდა იგი, რომ ვერასოდეს გაეყრებოდა საქართველოს, ქართულ ენას და ქუთაისს. ამავე წელს გამოჩენილმა პედაგოგმა მარიამ ყაუხჩიშვილმა დააარსა პირველი საბავშვო ბაღი ქუთაისში, სადაც აღმზრდელად მიწვეულ იქნა უცხოელი ქალიშვილი. მას ხომ ფრებელის პედაგოგიური კურსები ჰქონდა დამთავრებული.

...დაიწყო ელფრიდა აკმენტიანის პედაგოგიური მოღვაწეობა. რა დიდი სიხარული დაეუფლა მას, როცა ცხოვრების გზაზე გადადგა დამოუკიდებელი ნაბიჯები. პატარა ქართველი ბავშვების აღზრდა იქცა მისი ცხოვრების შინაარსად, მის სიხარულად. ასწავლიდა პაწიებს, აღსაზრდელებისაგან კი თვით სწავლობდა ქართულს. ბევრს კითხულობდა, კარგად იცნობდა მსოფლიო ლიტერატურას, მაგრამ დიდ დროს ანდომებდა ქართველი ხალხის ადათ-ჩვეულებებისა და სულიერი კულტურის ღრმად შესწავლას. სიტყვას სიტყვა შემოემატა და რამდენიმე ხანში ლატვიელი ქალიშვილი თავისუფლად ალაპარაკდა ქართულად.

...ამ დროს მოვიდა სიყვარული და ამ მშვენიერ ქვეყანას ლატვიელმა ქალმა ელფრიდა ივანეს ასულმა ერთი პატიოსანი ოჯახი შემატა. ცოდნის წყურვილი მაინც ძლიერი იყო. 1911 წელს ელფრიდა ბერძენი საზღვარგარეთ მიემგზავრება, სადაც მისი მეუღლე სწავლობდა. ბერლინის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად ესწრებოდა ლექციებს. 1913 წელს ელფრიდა ივანეს ასული დაუბრუნდა ქუთაისს, ადრინდელ საბავშვო ბაღს.

ალ. წულუკიძის ოჯახიდან გამოჰყვა ელფრიდა ბერძენი რევოლუციის იდეებისადმი ერთგულება. ახლაც კარგად ახსოვს მას ცარიზმის დამხობის დღეებში განცდილი სიხარული. გაიმარჯვა სამართლიანობამ, ახდა დიდი ხნის ნატკრა.



ივანეს ასული  
გიორგიძე

ელფრიდა გურჯაანში მუშაობდა, როცა დაიწყო ხენშევიკების პარპაში. ახლაც კარგად ახსოვთ გურჯაანის მკვიდრთ 1920 წლის შემოდგომაზე კლუბში გამართული საღამო, რომლის ერთერთი ინიციატორთაგანი ელფრიდა ბერძენი იყო. იგი ფართო აუდიტორიის წინაშე კრილოვის იგავ-არაკების კითხვით გამოვიდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში ახალი ცხოვრება დაიწყო, დადგა განახლების, აღდგენისა და შენების წლები.

ელფრიდა ივანეს ასული ახლა თავისი შვილებით სიღალღში ცხოვრობდა, ბოდბეში, ვაჟას ძმის ბაჩანას გვერდით ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1924 წლიდან ელფრიდა ივანეს ასული ქუთაისს დაუბრუნდა. უანგარო პედაგოგს სიყვარულით შეგვებნენ და მუშაობა შესთავაზეს დღევანდელ მეორე საშუალო სკოლაში. პარალელურად იგი ინდუსტრიულ ტექნიკუმში ასწავლიდა გერმანულ ენას. მისი გაკვეთილები გამოირჩეოდა ღრმა შინაარსით, მიგნებული პედაგოგიური ალღოთი. მაგრამ მისი წარმატების ყველაზე დიდი საიდუმლოება მოსწავლე ახალგაზრდობისადმი სიყვარულით აისხნებოდა. ღრმა ერუდიცია, მდიდარი ხატოვანი ლექსიკა, პუნქტუალობა, სიმართლისმოყვარეობა და ნამდვილი აღმზრდელის ალალი გული გააჩნდა მას, როგორც პედაგოგს. ცოდნის მოწოდებასთან ერთად დღენიადაგ ცდილობდა აღეზარდა ზრდილი, შრომისმოყვარე და სამშობლოს პატიოტი მოქალაქეები. თითოეული მოსწავლის გასაჭირი და სიხარული იცოდა მან. მოსწავლეებს უყვარდათ იგი მისი სამართლიანობის, მომთხონელობის, დიდი განათლებისა და ადამიანური ღირსებისათვის.

1939 წელს გერმანული ენის დიდი მცოდნე ელფრიდა ბერძენი გადაყვანილი იქნა ლექტორად ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. თხუთმეტი წელი გაატარა ელფრიდა ბერძენი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. თუ რა განუზომელი სიყვარულით სარგებლობდა ელფრიდა სტუდენტებში, ამის დამადასტურებელია სტუდენტთა წერილი, რომლითაც გამოთხოვენ მას პენსიაში გასვლისას: „ჩვენო ძვირფასო აღმზრდელო! თქვენი შრომა, გაწეული ჩვენს მიმართ, დაუვიწყარია და სამაგალითო. ჩვენ თუ ბეჯითად ვუფლებით გერმანულ ენას, ამის მიუხეობ თქვენა ხართ. ჩვენ ვგრძნობთ თქვენს დედობრივ სიყვარულს და ეს გვაძლევს სტიმულს გავზდეთ კარგი მასწავლებლები, მგზნებარე პატიოტები ჩვენი ქვეყნისა“.

ელფრიდა ივანეს ასულს აქვს საინტერესო ნაშრომი გერმანული ენის თეორიულ გრამატიკაში. მან შეადგინა გერმანული ანდაზების კრებული ქართული ექვივალენტებით, აგრეთვე, გერმანულ-ქართული ლექსიკონი, რომელსაც მაღე მიიღებს ჩვენი სტუდენტობა და უცხო ენის შესწავლით დაინტერესებული მკითხველი.

კირა აკიძე  
ქ. ქუთაისი.  
17



# საქართველოს სსრ-ის მსხვილი მეცნიერებათა აკადემიის ქიმიკოსების მოსწავლეები

სუთოსანი მოსწავლეები: ელზა ქალიაშვილი და ციცინო აფთა-რაშვილი ბიზნოლოთიკაში.



აქ პირველად მოხუცს გგონია, რომ სამკერვალო ფაბრიკაში მოხვდი. მაგრამ არა, სადარბაზო კარის შესასვლელ აბრაზე დიდი ასობებით წერია: „ქალაქის № 85 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი“. სახელოსნოებში ღურჭხალათიანი ქალიშვილები საკერავ მანქანებს მისხდომიან და მონდომებით აღიანდაგებენ ქალისა და მამაკაცის კოსტუმებს.

სასწავლებელში პირველი კურსის მოსწავლენი ასრულებენ კერვის მარტივ სამუშაოებს, ხოლო უფრო რთულ სამუშაოებს II კურსელები აკეთებენ, ჰოდა, თუ ისინი რაიმე რთულსა და გაუგებარს წააწყდნენ, აქვე მათთან ტრიალებს საწარმოო სწავლების ოსტატი, კერვის პროფესიონალი, რომელიც მაშინვე მიუთითებს და შეუხწორებს. ასე, კერვის სულ მარტივი ელემენტებიდან სრულდება უფრო რთული პროცესები და ბოლოს ხელში გრჩებათ ლამაზად შეკერილი პალტო ან კოსტუმი.

იქნებ იკითხოთ, რა ხარისხისაა ახალბედა მკერავების მიერ შეკერილი კოსტუმი? თქვენ წარმოიდგინეთ, კარგი.

1988 წელს მოსწავლეთა მიერ საწარმოო სწავლების დროს აქ შეიკრა 4.040 პალტო და კოსტუმი. ამ შუა ტანსაცმლიდან 99,8 პროცენტს პირველი ხარისხი მიენიჭა და გასაყიდად გაიგზავნა რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში.

ახლა სასწავლებელში სამასზე მეტი ქალი და ქალიშვილი სწავლობს კერვის რთულ და საინტერესო ხელოვნებას. მოსწავლეებს კარგი პირობები აქვთ შექმნილი: 20-22 მანეთ სტიპენდიასთან ერთად ისინი საწარმოო სწავლების დროს გამოშვებული პროდუქციის ღირებულების მესამედსაც იღებენ.

სახელოსნოების გვერდით საკლასო ოთახებია, შა-

ვი დაფებით და მერხებით, სადაც გამოცდილი პედაგოგები თეორიულ სწავლებას ხელმძღვანელობენ. აქვე სწავლობენ უახლესი ტიპის საკერავი მანქანების აგებულებას, მათ თავისებურებებს — როგორ იშვარება ისინი სხვადასხვა ტიპის ქსოვილების კერვისას.

ერთი სიტყვით, აქ ეუფლებიან კერვის ხელოვნებას მთელი თავიკი სიღრმით და ეს საშუალებას აძლევს მოსწავლეს, შემდეგ თვითონ გახდეს ახალი შემოქმედი მკერავი, ნოვატორ- მოდელიორი და კონსტრუქტორი. ამ სასწავლებელში აღიარდნენ რესპუბლიკური მოდელების სახლის კონსტრუქტორი ვ. სუხიტაშვილი და № 1 და № 7 სამკერვალო ფაბრიკების ინჟინრები: შ. და გ. ჭოლაძეები.

ამ სასწავლებლის მრავალი კურსდამთავრებული აქვე დატოვეს საწარმოო სწავლების ოსტატებად. ასე დატოვეს: ვ. რუხაძე, ლ. ლოლაძე, ნ. ჩაჩანიძე და სხვები.

აღამიანის გემოვნება ცვალებადია, უკეთესიდან უკეთესისაკენ ისწრაფვის. ის, რაც დღეს დაგაკმაყოფილებს, ხვალ საკმარისი აღარ არის, უკეთესი გინდა. ასეთია კერვის ბუნება და მისი მომხმარებელიც — საჭიროა ყოველდღიურად სრულყოფდე და აუმჯობესებდე კერვის ხელოვნებას. სწორედ ამ მიზნით ეწყობა სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატთა მივიწინებები მოსკოვში კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

სასწავლებელში ჩამოყალიბებულია მუდმივმოქმედი სემინარი, სადაც კონსულტაციას იძლევიან მაღალი კვალიფიკაციის და ცოდნის სპეციალისტები. ასეთი სემინარები სისტემატურად უნდა ტარდებოდეს სასწავლებელში და მეტი სადღეისო პრაქტიკული საკითხების კონკრეტულ გადაწყვეტასთან იყოს დაკავშირებული. 3. მილაძე

საწარმოო სწავლების ოსტატი თ. კიკნაძე სუთოსან მოსწავლეს ნ. ქალიაშვილს აძლევს კონსულტაციას.





# მეცნიერება

ვედრებისეღის ფსევდონიმიტ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან კავკასიისა და რუსეთის პრესაში სისტემატურად აქვეყნებდა მოთხრობებს, თარგმანებს ქართული ლიტერატურიდან, ნარკვევებს, კორესპონდენციებსა და სტატიებს დარია (მარიამ) მალიაშვილი, რომელიც ყოფილი გორის მარხის, სოფელ ვედრებისაში (აქედან მიიღო მან ფსევდონიმი) დაბადებულა 1874 წლის ოქტომბერში.

სიღატაკეში ჩავარდნილმა მარიამის დედამ, რომელსაც ოთხი წვრილი შვილი ჰყავდა, სცადა ბავშვებისათვის განათლება მიეცა. უფროსი ქალი მარიამი რის ვაი-ვაგლასით ბაქოს გიმნაზიაში მიაბარა (ბაქოში მარიამი ნავთის სარწმუნოში მომუშავე ბიძასთან ცხოვრობდა). ქვრივი დედის ეს ზრუნვა მარიამმა ბეჯითი შრომითა და ნიჭიერებით მალე გაამართლა და, ჯერ კიდევ მესამე კლასის მოსწავლემ, კერძო გაკვეთილებით შესძლო ოჯახს შეშველებოდა. გიმნაზიის დამთავრებისთანავე მარიამი იმავე გიმნაზიაში ინიშნება რუსული ენის მასწავლებლად.

13 წლის მარიამი გაზეთ „კასპიაში“ აქვეყნებს პატარ-პატარა მოთხრობებსა და კორესპონდენციებს. როგორც თვითონ იგონებს ცნობილი ლიტერატორისა და ჟურნალისტის ნიკოლოზ მიხაილოვსკისადმი 1896 წელს მიწერილ ბარათში — „იგი ბუნდოვანად გრძნობდა, რომ მას რამე უნდა ეთქვა ბეჭდვითი საშუალებით და ეს რა იმე (ხაზგასმა თვით ავტორისაა. ფ. კ.) საქართველოს ემბოდა“.

1888 წელს ვედრებისელი გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ თანამშრომლობს. შემდეგ წლებში ის ფამუდებით ბეჭდავს ყოველკვირეულ ფელეტონებს 1894 წლამდე, ვიდრე მისი ერთ-ერთი „აღმამფოთებელი ფელეტონის“ გამო გიმნაზიის დირექტორმა საკითხი კატეგორიულად არ დააყენა: ან დარჩეს გიმნაზიაში და შესწყვიტოს თანამშრომლობა პრესაში ან ითანამშრომლოს და დატოვოს გიმნაზია. ასეთმა ულტიმატუმმა, მშობლიური გიმნაზიის დიდმა სიყვარულმა, განსაკუთრებით იმ გარემოებამ, რომ ის იყო ფაქტიური აღმზრდელი სამი უმცროსი ძმისა, აძალდა მარიამი დროებით დაენებებინა თავი გაზეთში თანამშრომლობისათვის.

ამ პერიოდში ვედრებისელი წერს მოთხრობას „ნათლობა“, რომელიც 1895 წელს ჟურნალ „რუსსკოე ბოგატსტვოს“ მეთორმეტე ნომერში გამოქვეყნდა. ამ მოთხრობის დაბეჭდვამ საბოლოოდ განამტკიცა მისი ბავშვობის სახეტარო ოცნება მწერალი გამზდარიყო და იმედგაღვიძებული ახალგაზრდა მთელი გატაცებით ებმება ლიტერატურულ საქმიანობაში. მან ზედისუდ გამოაქვეყნა ნარკვევი „ტაძრის დღესასწაულზე“, მოთხრობები: „ბუნების წიაღში“ და „შესვედრა“; ჟურნალ „რუსსკიაი შკოლაში“ დაბეჭდა საინტერესო სტა-

ტია — „რუსულ-თათრული სკოლები ბაქოში“ და სხვა.

პირველმა წარმატებამ ვედრებისელი დაახლო. ვა იმდროინდელი რუსული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს და ისინიც უკვე თანაგრძნობით კვიდებიან მწერალ ქალს, სთხოვენ თანამშრომლობას. ინტელიგენციის ფართო ფენებთან უფრო ახლო კონტაქტის დასამყარებლად, მარიამ ვედრებისელი რამდენჯერ იყო კიდევ მოსკოვსა და პეტერბურგში.

ვედრებისელს, როგორც მწერალსა და პუბლიცისტს, მხედველობიდან არ გამოორჩენია სოფლად მომხდარი ძვრები, ეკონომიური ცვლილებანი, მრწველობისა და წვრილი სავაჭრო კაპიტალის განვითარებით გამოწვეული დიფერენციაცია და შექმნილი მძიმე მდგომარეობა, სამედიცინო მომსახურების თითქმის სრული უქონლობა სოფლად, ბაქოს საწარმოებში ჩაბმული მუშების აუტანელი ხვედრი და მათი თანდათანობით შეკავშირება-დარაზმვა, სწავლა-აღზრდისა და საერთოდ განათლების მტკიცეწული საკითხები და სხვა მრავალი.

მისმა ურიცხვმა მოთხრობებმა, ნარკვევებმა და სტატიებმა მკითხველს დაანახა, თუ რა მძიმე მდგომარეობაშია რუსეთის იმპერიის განაპირა მხარის მშრომელი მოსახლეობა და სცადა რუსი ინტელიგენციისა და მთელი საზოგადოებისათვის დაესტა მათთვის უცნობი ხალხის ცხოვრება.

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი პერიოდული ორგანო რუსეთისა, სადაც მარიამ ვედრებისელს არ გამოქვეყნებინოს თავისი ნაწარმოებები. მისი მოთხრობების კრებული 1903 წელს პეტერბურგში, ხოლო 1912 წელს თბილისში დაიბეჭდა. ამ კრებულმა მალევე შეფასება მიიღო „რუსსკოე ბოგატსტვოსი“, „სვესდაში“ და სხვაგან. მას აღფრთოვანებული რეცენზიები მიუძღვნეს.

მარიამ მალიაშვილი ცოლად გაჰყვა ცნობილ არქიტექტორს კალიგინს, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების ტრადიციების გაცოცხლებისათვის. მან, როგორც სამხატვრო აკადემიის პედაგოგმა, ფასდაუდებელი ამაგი დასდო ჩვენს ხელოვნებას ახალგაზრდა კადრების აღზრდით. სხვათაშორის კალიგინის პირველთა არის აგებული საჯარო ბილიოთეკა.

ფრიად განათლებულმა მეუღლემ, მწერალ ქალს საშუალება მისცა კიდევ უფრო ნაყოფიერად ემუშავა, სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის ვედრებისელის თავდადებული შრომა ახალი ქართული ლიტერატურის ვრცელი ანთოლოგიის მოსამზადებლად. მას თბილისში შეუდგენია ლიტერატორთა მთარგმნელთა წრე. ამ წრის წევრებს მოუშადა მათ უამრავი ახალი თარგმანი, გადაუსინჯავთ არსებული თარგმანები, შეუდგენიათ განმარტება-

ნი, საჭირო წერილები და ყველა ეს მასალა მარიამ მალიაშვილს გადაუგზავნია კიდევ პეტერბურგში. მაგრამ ეს დიდებული წამოწყება ვერ განხორციელდა, გამოცემლის ომში უგზო-უგელოდ დაკარგვის გამო. მარიამ მალიაშვილის მიერ კონდურუშვინისთვის გაგზავნილ წერილებში არის ზუსტი სია ნაწარმოებებისა და მთარგმნელებისა.

მარიამ მალიაშვილი ვედრებისელი გარდაიცვალა 1925 წლის 30 მაისს და დასაფლავებულია მცხეთის სამთავროს მონასტრის ეზოში, თავისი მეუღლის, არქიტექტორ კალიგინის გვერდით.

ვედრებისელის პირველ მოთხრობას, რომელიც 1895 წელს ჟურნალ „რუსსკოე ბოგატსტვოსი“ დაიბეჭდა, ასეთი დასასრული აქვს;

იდილიური, მთვარიანი ღამის ფონზე, თავისი სახლის აივანზე გადმოდგა ახალგაზრდა თავადი ამირინდო, მან გაბრწყინებული თვალები მოავლო სკოლისათვის განკუთვნილ მშენებლობას. ამირინდოს აგონდება წინააღობის ღრობა, იქ შეკრებილთა უაზრო, ფუჭსავატური ცხოვრება, სოფლის მესვეურთა მთელი არარაობა, მოსახლეობის გულისმომკვლელი მდგომარეობა და ამ კოშმარული მოგონებებით დამძიმებული მტკიცედ გაიფიქრებს: „არა ქალაქში, არამედ აქ, სოფლად არის საჭირო მუშაობა, რომ გაფანტოთ ეს საშინელი უკუნი“.

ამ მოთხრობის ავტორიც კავშირს არ სწყვეტდა თავის სოფელთან და სხვა ქართველი ხალხოსნების მსგავსად ცდილობდა პრაქტიკულად დახმარებოდა გაჭირვებულ გლეხობას. თავის სოფელში მან გახსნა სკოლა, აფთიაქი, ხალხს თვით უწევდა საექიმო დახმარებას, ანათლებდა მეზობელ გლეხებს, ექიმადებოდა მათ.

შემდეგი ნაწარმოები, რომელიც იმავე ჟურნალის 1898 წლის მესამე ნომერში გამოქვეყნდა და საგანგებო გამოსწავრებაც ჰპოვა რუსულ საზოგადოებაში, იყო „ხიზნები“. მასში გადმოცემულია სოფელ ცრემლიანის ღატაკი გლეხების გაწამებული ყოფა. ოდესღაც შორეული ოსეთიდან გადმოსულან სამი ძმა როსტომაშვილები და დასასლებულან თავად არჩილ გულაშვილის მიწებზე, გამხდარან მისი ხიზნები. აღწერილია ოსი ხიზნების თანდათან დასალოება-დანათესავეება ქართველ ხიზნებთან, ერთიანი მძიმე ხვედრი ღატაკი ხალხისა. მიუხედავად შესანიშნავი კლიმატური პირობებისა (მთის პაერი, ტყე, წყალი), სოფელ ცრემლიანში მუდამ გლოვია — არ არის სოფელში ქალი, რომელიც შავ ძაძებს არ ატარებდეს, და მამაკაცი, რომელსაც გულზე გლოვის ნიშანი არ ეკეთოს. მასობრივად იღუპებიან არა მარტო ბავშვები, მოზრდილნიც. სოფელში გამეფებულია შიმშილი, სიღატაკე და უმეცრება. სამედიცინო მომსახურება სრულიად არა აქვთ.

ამ ზოგადი კოშმარული სურათის შემდეგ მწე-



რალი ერთი კონკრეტული ოჯახის სიღატაკე-სი-  
დუხჭირის მკვეთრი ჩვენებით ცდილობს საერთოდ  
სიზნების უბედური, უნუგეშო მდგომარეობა დაგ-  
ვისატოს.

ამ ნაწარმოებმა დიდი კამათი, აზრთა გაცვლა-  
გამოცვა და ხიზანთა საქმით დანტერფება გამო-  
იწვია: მისი გამოქვეყნებისთანავე, რუსეთის პრე-  
საში გაისმა დაბეჩავებული სიზნების დასაცავად  
გამოთქმული მტკიცე ხმები; საზოგადო მოღვაწე-  
ნი, მწერლები გულსიტყვილით ესმაურებოდნენ  
ამ საკითხს და აღშფოთებულნი მოითხოვდნენ  
მონურ მდგომარეობაში მყოფი გლეხების აუტა-  
ნელი ხვედრის შემსუბუქებას. ამ მსჯელობამ თა-  
ვისებური გავლენა იქონია მომდევნო წელს ე. წ.  
„ხიზანთა კანონის“ შემუშავებაზე. თავისთავად  
ეს ფაქტიც გარკვევით მიუთითებს მარიამ ვედრე-  
ბისელის სერიოზულ დამსახურებაზე.

ვედრებისელის ნაწარმოებების თემატიკა თან-  
დათან ფართოვდება. ის წერს სიზნებისა და სა-  
ერთოდ გლეხების ცხოვრებაზე, ბაქოს სარეწაოების  
მუშეებზე, ომის საშინელებაზე, მივარდნილ სოფ-

ლებში გაბატონებულ უმეცრებაზე, სწავლა-განათ-  
ლების ფართოდ გავრცელების აუცილებლობაზე  
და მრავალ სხვა საკითხებზე. ყველაზე აშკარად  
სრანს ვედრებისელის გულწრფელი მისწრაფება—  
რითიმე უშველოს მშრომელთა მძიმე ხვედრს. მი-  
სი ნაწარმოებების უმეტესი ნაწილი ქართული  
გლეხის ბედს დასტრიალებს. მწერალი ყოველ  
ახალ ნაწარმოებში ახალ მომენტსა და მხარეს  
ამუქებს გლეხის ყოფიდან, ცდილობს ყველა აკ-  
თხიდან დაანახვოს რუსეთის საზოგადოებას ჩვე-  
ნი ხალხის მდგომარეობა.

ვედრებისელი სისტემატურად აქვეყნებს თავის  
ნაწარმოებებს რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში. 1903  
წელს ცნობილი გამოცემელ-ლიტერატორის კ.  
გორბენოვის წინასიტყვაობით პეტერბურგში იბე-  
ჭდება ვედრებისელის ნაწარმოებთა კრებულის  
პირველი ტომი სახელწოდებით: „Нетронутый  
уголок“.

ამ კრებულში შესული ნაწარმოებების თვით  
სათაურებიც კი აშკარად მიუთითებს მწერლის  
მთავარ გულისწახილზე — რაც შეიძლება დე-

ტალურად დაგვიხატოს გლეხების ცხოვრება.  
კრებულის შემდგომი ტომების გამოცემა ველარ მო-  
ხერხდა. მაგრამ ამ ტომითაც კი მარიამ ვედრები-  
სელი აშკარა ხალხისუნური სულისკვეთების გამო-  
მსატყველი მწერალია.

ნიშანდობლივია თვით „Нетронутый уголок“  
ერთო სათაურად აღებული ერთერთი ნარკვევის  
სახელწოდება: „Нетронутый уголок“, მართ-  
ლაც და, მარიამ ვედრებისელის მიერ დახატული  
სამყარო უცნობი და ხელუხლებელი მხარე იყო ბე-  
ლეტრისტიკისათვის და განსაკუთრებით კი რუ-  
სული მწერლობისა და მკითხველისათვის. აკი სა-  
ხელოვანი ვლადიმერ კოროლენკო ერთერთ წე-  
რილში კიდევაც სწერდა მწერალ ქალს: „აკამ-  
დის ჩვენში საქართველოს, ისევე როგორც საერ-  
თოდ კავკასიას, სსნიდნენ უფრო რომანტიული  
მხრით. თქვენ მას იღებთ მის რეალურ, ყოველ-  
დღიურ, ასე ვთქვათ პროზაული ცხოვრებით, —  
და ეს რა თქმა უნდა, დიდი ღირსებაა.“

ფ. კობახიშვილი

პრინციპა სინიკაპია



პრინციპა-  
სინიკაპია



მხატვარი რუსულან გაჩეჩილაძე

— რა „მაზლო“ იქნება, ასე რომ დამინახვენ, არა? როგორ გაუკ-  
ვირდებათ, არა, დედი?  
— აბა, რასა ჰგავს ეგ „მაზლო?“ აღარ გამაგონო!  
— ახლავე... და ყველა შემეგითხება: „სად დასივე ცხვირიო...“ ის კი  
არ იციან, ტაშტს რომ დავენარცხე, იცი, დედი?  
— მაშ, მაშ... აბა, დაგხუტოთ თვალები.  
— სისხლი იატაკზეც წვეთავდა. სამაგიეროდ, ახლა მე ორი ცხვირი  
მაქვს. სომ ლამაზია, დედიკო?  
— ყოველ შემთხვევაში, ორიგინალურია. ორცხვირა შეილი მე ჯერ არ  
მყოლია. გეყო ახლა! აბა, ეს რასა ჰგავს. სომ იცი, გვიანია.  
— მაშ მიმღერე და იმ სიმღერაში ორცხვირა შეილიკოც იყოს, კარგი?  
ცდილობ ვუმღერო ძილისპირული ორცხვირა შეილიკოცზე, რომელიც  
დილით მეხვეწებოდა: „მუხლებზე დამისვი, რა...“ მე კი — „ახლა არ შე-  
მიძლია, სხვაგან მეჩქარება-მეთქი“. მერე შუადღეზე შემომტყმასანა: „დე-  
დი, მეთამაშე, რა!“ მე კი მოვიზორე — „სომ ხედავ, პური მაქვს დასატრე-  
ლი“. შეღამებისას მითხრა: „დედიკო, შენ ჩვენი კეთილი ანგელოზი  
ხარ?“ მე კი ვუპასუხე — „სისულელებს ნუ ლაპარაკობ მეთქი...“  
ჰოდა, ახლა ვიგონებ რაღაც ნანინას შეილზე, შიგ ვაქსოვ ყოველივეს,  
რაც დილით, შუადღისას და საღამოთი ვერ გავიმეტე. მაგრამ გვიანა.  
შეილიკოს ძინავს. არ ესმის ჩემი ძილისპირული, რომელიც მთელი დღის  
განმავლობაში უნდა მემღერა — თითო სიტყვა მაინც, თითო პატარა სიტ-  
ყვა...

თარგმნა ო. ანდრონიკაშვილი



# ჩვენი საოჯახო კლუბი

## გვუხარბოთ თუ არა?

როცა გაბრაზებული ვართ, ყურადღება წუთით სხვა რამეზე გადავიტანოთ და გავისვენოთ კარნი განწყობილების ნეტარი საათები. ასეთ დროს ტანში მოქნილობას და ძალას შევიგრძნობთ; ტვინის მოქმედება მკაფიო ხდება, ყველაფერი გამოგვადის კარგად და გვეუფლება შესანიშნავი განწყობილება. ერთი სიტყვით, მთელ ორგანიზმში მყარდება სასიამოვნო პარმონია.

მაგრამ აი, რაღაც მოხდა: ან ვერ გამოვიძინეთ, ან აირია ჩვენი კვების რეჟიმი, ან ვიღაცამ ვეაწყინა. და პარმონია, ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი პარმონია, დაირღვა, განწყობილება გაფუჭდა, გონებაში წარმოიშვა ბოროტი ფიქრები და ჩვენ უკვე მზად ვართ გაგვრავდეთ.

გაბრაზება მარტო ფიქრებით როდი იზღუდება. თავის ტვინი მჭიდრო კავშირშია სხეულის თითოეულ ნაწილთან და როცა ვბრაზობთ, მთელი რიგი სპეციფიკური ცვლილებები აღინიშნება: გული იწყებს აჩქარებულ ცემას; სისხლის წნევა მატულობს, ენდოკრინული ჯირკვლები სისხლში ჰორმონების მეტ რაოდენობას გამოყოფენ. სუნთქვის რიტმი ირღვევა, წარმოიქმნება თავისებური, ზოგჯერ ძლიერი ნერვული აღგზნება, მეტყველება ხვედება, ტანი იჭიმება. ესე იგი, ორგანიზმში ხდება რეაქცია, რომელიც ხელს უწყობს წინანდელი პარმონიის დაკარგვას, და სადაა ჩვენი კარგი განწყობილება...

მაშ რა ვქნათ? იქნებ უკეთესია არ გაგვრავდეთ? გაგვრავს ერთ ლოყაში და მიუშვირო მეორე? იქნებ ჯობდეს ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ყველაფერს მოვიკიდო მშვიდად? არა, არა და კიდევ არა. ჰოდა, აი რატომ:

ის გრძობები, რომლებიც გაბრაზებისას გროვდება ჩვენში, ჩვენს მიერ არაა გამოგონილი, ისინი მოგვანიჭა ბუნებამ. ამიტომ შექმნილი სიტუაციის დროს, არ შეგვიძლია არ გაგვრავდეთ. ეს მდგომარეობა თითქოს თავისთავად წარმოიქმნება. და თუ ჩვენ, რაიმე მოსაზრების გამო, ვაძულებთ თავს არ მოვახდინოთ რეაგირება იმაზე, რაზეც ბუნების კანონით საჭირო იყო იგი მოგვეხდინა, ამით მკვეთრად გავაღარიბებთ ჩვენი გრძობების სფეროს, გავაღარიბებთ ჩვენს ადამიანურ არსს.

მაშასადამე, უნდა გაგვრავდეთ, მაგრამ უმაღლეს უნდა განვთავისუფლდეთ ნერვული დაძაბულობისაგან და ყველა იმ საშიშრო დარღვევებისაგან, რომლებიც წარმოიქმნება ჩვენში გაბრაზების მომენტში. და, აი, რატომ:

ბუნებამ ორგანიზმს მისცა შესაძლებლობა აღდგინოს დაკარგული პარმონია, ამასთან ეს ისეთი შესაძლებლობაა, რომელსაც შეუძლია წარმოიქმნას ჩვენი შეგნების გარეშე. გავისვენოთ, როგორ იქცევა გაბრაზებული ადამიანი, რომელიც თავის საქციელზე კარგავს კონტროლს. ის ყვირის, აქეთ-იქით აწყვდება, ხელებს შლის, ზოგჯერ ხევს, რაც ხელში მოხვდება, ხან რაღაცას ატყვევებს, ერთი სიტყვით, ბოზოქრობს. ესე იგი, სტიქიურად, შეუგნებლად თავისუფლდება ნერვული დაძაბულობისაგან, არასასიამოვნო შეგრძნებისაგან. მართალია, ეს საქციელი უხეშია და სულელური, ადამიანისათვის შეუფერებელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთი განტვირთვის შემდეგ მისი „პირადი ორგანიზმი“ (ამ მომენტში, როგორც წესი, ის სხევეზე არ ფიქრობს) შედარებით ნორ-

მაში დგება და ადამიანი წყნარდება. ზოგიერთი ანალოგიურ მდგომარეობაში ნაკლებ გამოხატავს გაბრაზებას: აწვალავს ღილს, ამტვრევს ასანთს, რაღაცას ბუტბუტებს და თითებს ატაკაქუნებს. ყველა ეს მაგალითი იმაზე მეტყველებს, რომ საჭიროა მიეცეს გამოსავალი ნერვულ დაძაბულობას. ყველა ეს მაგალითი მოწმობს ადამიანთა მიერ თავიანთი თავისადმი კონტროლის უქონლობას. ამიტომ, ასეთი საქციელი არ შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს.


ასლა განვიხილოთ, რა შეგნებული გზები არსებობს დარღვეული პარმონიის აღდგენისათვის. ძირითადად ორი: პირველ შემთხვევაში გაბრაზებული ადამიანი უმაღლეს შეაფასებს მდგომარეობას და თავისთავს ეუბნება: „სისულელეა, არ ღირს გაბრაზება“, და თანდათან წყნარდება. მეორე გზა ასეთია: გაბრაზებული ადამიანი შეგნებულად ცდილობს, რაღაც არ უნდა დაუჯდეს სამაგიერო გადაუხადოს დაზნაშაფეს. ესე იგი, მოქმედობს პრინციპით: „სისხლი სისხლის წილ“ და წყნარდება მხოლოდ მაშინ, როცა სამაგიეროს უხდის.

რა შეიძლება ითქვას ამ გზებზე? ის, რომ მეორე გზა მძიმე შედეგის მომტანია, რადგანაც მან შეიძლება გამოიწვიოს საპასუხო წინააღმდეგობა და წარმოიშვას დაუსრულებელი კონფლიქტები.

...უზოში გადახარო, უცებ ბავშვმა უნებლიედ ბურთი მოგარტყია და ტანსაცმელი დაგისვარათ. გაბრაზდებით? უეჭველად! და ეს იქნება სრულიად ბუნებრივი. მაგრამ რას იზამთ შემდეგ? თავი უნდა შეიკავოთ, მკაცრად, ოღონდ მშვიდად გაიციხეთ ბავშვი და გაიწმინდოთ ტანსაცმელი. ასეთ შემთხვევაში თქვენი საქციელი იქნება გონივრული, მაგრამ ზოგჯერ სულ სხვა ხდება: ადამიანი ყვირილით იკლებს მთელ ეზოს, წყველის ბავშვებს, მათ მშობლებს, ყველას გასაგონად მოითხოვს დასვრილი ტანსაცმლის ანაზღაურებას, მიღის ქიმშიწინაში, აღგენს აქტს დასვრის ხარისხის შესახებ და იწყება ნამდვილი უბედურება. ბავშვის უნებლო საქციელით გამოწვეული გრძობები და ფიქრები განსაზღვრავს ამ ადამიანის შემდგომ მოქმედებას. იგი აღარ ესალმება იმათ, ვინც მხარი არ დაუჭირა კონფლიქტის დროს. შეუძლია ფეხი წაკრას სხვის კატას, ცოლს უთხრას საყვედურები ცივი ჩაისა და დაჭმუჭვნილი ცხვირისასოცისათვის, მეორე დღეს საწუშაოზე უდანაშაულო ხელქვეით თანამშრომელს მიმართოს გაჯავრებული ტონით და ასე გადაიქცევა ნელა მოქმედ ყუმბარად, რომელიც მზად არის გასკდეს ყველაზე მოულოდნელ მომენტში.

რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ აღგზნების კერა ტვინში დროზე არ იქნა ჩამქრალი და იგი არათუ ქრება, არამედ ყოველწუთს იკრფის ძალას, იკრფს იმის გამოც, რომ ადამიანის ირგვლივ მყოფნი გასაქანს არ აძლევს მას დაწყნარდეს, მასთან ერთად ბრაზობენ, კამათობენ. და ხდება ისე, რომ თავდაპირველი მიზეზი ჩხუბისა უკვე კარგავს მნიშვნელობას, ეს ადამიანი კი ამ ჩაუქრალი კერის გამო მინც გაბრაზებულია. ამან შეიძლება იქამდე მივიყვანოს, რომ მისი გრძობები და აზრები ხდება მდაბალი, ეგოისტური, თვითონ ადამიანი — არასასიამოვნო, მის





# ჩვენი საოჯახო კლუბი

## გავაზრდეთ თუ არა?

როცა გაბრაზებული ვართ, ყურადღება წუთით სხვა რამეზე გადავიტანოთ და გავიხსენოთ კარგი განწყობილების ნეტარი საათები. ასეთ დროს ტანში მოქნილობას და ძალას შევიგრძნობთ; ტვინის მოქმედება მკაფიო ხდება, ყველაფერი გამოვადის კარგად და გვეუფლება შესანიშნავი განწყობილება. ერთი სიტყვით, მთელ ორგანიზმში მყარდება სასიამოვნო პარმონია.

მაგრამ აი, რაღაც მოხდა: ან ვერ გამოვიძინეთ, ან აირია ჩვენი კვების რეჟიმი, ან ვიღაცამ ვეაწყინა. და პარმონია, ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი პარმონია, დაირღვა, განწყობილება გაფუჭდა, გონებაში წარმოიშვა ბოროტი ფიქრები და ჩვენ უკვე მზად ვართ გავბრაზდეთ.

გაბრაზება მარტო ფიქრებით როდი იზღუდება. თავის ტვინი მჭიდრო კავშირშია სხეულის თითოეულ ნაწილთან და როცა ებრაზობთ, მთელი რიგი სპეციფიკური ცვლილებები აღინიშნება: გული იწყებს აჩქარებულ ცემას; სისხლის წნევა მატულობს, ენდოკრინული ჯირკვლები სისხლში ჰორმონების მეტ რაოდენობას გამოყოფენ. სუნთქვის რიტმი ირღვევა, წარმოიქმნება თავისებური, ზოგჯერ ძლიერი ნერვული აღგზნება, მეტყველება ხვედება, ტანი იჭიმება. ესე იგი, ორგანიზმში ხდება რეაქცია, რომელიც ხელს უწყობს წინანდელი პარმონიის დაკარგვას, და საიდანა ჩვენი კარგი განწყობილება...

მაშ რა გქნათ? იქნებ უკეთესია არ გავბრაზდეთ? გაგარტყეს ერთ ლეკავი და მიუშვირო მეორე? იქნებ ჯობდეს ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ყველაფერს მოვიკიდო მშვიდად? არა, არა და კიდევ არა. პოლა, აი რატომ:

ის გრძნობები, რომლებიც გაბრაზებისას გროვდება ჩვენში, ჩვენს მიერ არაა გამოვლილი, ისინი მოგვანიჭა ბუნებამ. ამიტომ შექმნილი სიტუაციის დროს, არ შეგვიძლია არ გავბრაზდეთ. ეს მდგომარეობა თითქოს თავისთავად წარმოიქმნება. და თუ ჩვენ, რაიმე მოსაზრების გამო, ვაძიებთ თავს არ მოვასდინოთ რეაგირება იმაზე, რაზეც ბუნების კანონით საჭირო იყო იგი მოგვეხდინა, ამით მკვეთრად გავაღარიბებთ ჩვენი გრძნობების სფეროს, გავაღარიბებთ ჩვენს ადამიანურ არსს.

მაშასადამე, უნდა გავბრაზდეთ, მაგრამ უმაღვე უნდა განვთავისუფლდეთ ნერვული დაძაბულობისაგან და ყველა იმ საზიანო დარღვევებისაგან, რომლებიც წარმოიქმნება ჩვენში გაბრაზების მომენტში. და, აი, რატომ:

ბუნებამ ორგანიზმს მისცა შესაძლებლობა აღიდგინოს დაკარგული პარმონია, ამასთან ეს ისეთი შესაძლებლობაა, რომელსაც შეუძლია წარმოიქმნას ჩვენი შეგნების გარეშე. გავიხსენოთ, როგორ იქცევა გაბრაზებული ადამიანი, რომელიც თავის საქციელზე კარგავს კონტროლს. ის ყვირის, აქეთ-იქით აწყვდება, ხელებს შლის, ზოგჯერ ხევს, რაც ხელში მოხვდება, ხან რაღაცას ამტვრევს, ერთი სიტყვით, ბოხოქრობს. ესე იგი, სტიქიურად, შეუგნებლად თავისუფლდება ნერვული დაძაბულობისაგან, არასასიამოვნო შეგრძნებისაგან. მართალია, ეს საქციელი უხეშია და სულელური, ადამიანისათვის შეუფერებელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთი განტვირთვის შემდეგ მისი „პირადი ორგანიზმი“ (ამ მომენტში, როგორც წესი, ის სხეულებზე არ ფიქრობს) შედარებით ნორ-

მაში დგება და ადამიანი წყნარდება. ზოგიერთი ანალოგიურ მდგომარეობაში ნაკლებ გამოხატავს გაბრაზებას: აწვალავს ღილს, ამტვრევს კასნოს რაღაცას ბუტბუტებს და თითქოს ცხველებს ყველა ეს მაგალითი იმაზე შეტყვევებს, რომ საჭიროა მიეცეს გამოსავალი ნერვულ დაძაბულობას. ყველა ეს მაგალითი მოწმობს ადამიანთა მიერ თავიანთი თავისადმი კონტროლის უქონლობას. ამიტომ, ასეთი საქციელი არ შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს.


ასლა განვიხილოთ, რა შეგნებული გზები არსებობს დარღვეული პარმონიის აღდგენისათვის. ძირითადად ორი: პირველ შემთხვევაში გაბრაზებული ადამიანი უმაღვე შეაფასებს მდგომარეობას და თავისთავს ეუბნება: „სისულელეა, არ ღირს გაბრაზება“, და თანდათან წყნარდება. მეორე გზა ასეთია: გაბრაზებული ადამიანი შეგნებულად ცდილობს, რაღაც არ უნდა დაუჯდეს სამაგიერო გადაუხადოს დამნაშავეს. ესე იგი, მოქმედობს პრინციპით: „სისხლი სისხლის წილ“. და წყნარდება მხოლოდ მაშინ, როცა სამაგიეროს უხდის.

რა შეიძლება ითქვას ამ გზებზე? ის, რომ მეორე გზა მძიმე შედეგის მომტანია, რადგანაც მან შეიძლება გამოიწვიოს საპასუხო წინააღმდეგობა და წარმოიშვას დაუსრულებელი კონფლიქტები.

...ეზოში გადახართ, უკებ ბავშვმა უნებლიედ ბურთი მოგარტყათ და ტანსაცმელი დაგისვარათ. გაბრაზდებით? უეჭველად! და ეს იქნება სრულიად ბუნებრივი. მაგრამ რას იზამთ შემდეგ? თავი უნდა შეიკავოთ, მკაცრად, ოღონდ მშვიდად გაკიცხოთ ბავშვი და გაიწმინდოთ ტანსაცმელი. ასეთ შემთხვევაში თქვენი საქციელი იქნება გონივრული, მაგრამ ზოგჯერ სულ სხვა ხდება: ადამიანი ყვირილით იკლებს მთელ ეზოს, წყევლის ბავშვებს, მათ შობლებს, ყველას გასაგონად მოითხოვს დასვრილი ტანსაცმლის ანაზღაურებას, მიდის ქიმწმენდაში, ალგენს აქტს დასვრის ხარისხის შესახებ და იწყება ნამდვილი უბედურება. ბავშვის უნებლო საქციელით გამოწვეული გრძნობები და ფიქრები განსაზღვრავს ამ ადამიანის შემდგომ მოქმედებას. იგი აღარ ესალმება იმას, ვინც მხარი არ დაუჭირა კონფლიქტის დროს. შეუძლია ფეხი წაკრას სხვის კატას, ცოლს უთხრას საყვედურები ცივი ჩაისა და დამტყუნილი ცხვირსაბოცისათვის, მეორე დღეს საჩუქარო უდანაშაულო ხელქვეით თანამშრომელს მიმართოს გაჯავრებული ტონით და ასე გადაიქცევა ნელა მოქმედ ყუმბარად, რომელიც მზად არის გასკდეს ყველაზე მოულოდნელ მომენტში.

რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ აღგზნების კერა ტვინში დროზე არ იქნა ჩამქრალი და იგი არათუ ქრება, არამედ ყოველწუთს იკრფვს ძალას, იკრფვს იმის გამოც, რომ ადამიანის ირგვლივ მყოფნი გასაქანს არ აძლევენ მას დაწყნარდეს, მასთან ერთად ბრაზობენ, კამათობენ. და ხდება ისე, რომ თავდაპირველი მიზეზი ჩხუბისა უკვე კარგავს მნიშვნელობას, ეს ადამიანი კი ამ ჩაუქრალი კერის გამო მაინც გაბრაზებულია. ამან შეიძლება იქამდე მივიყვანოს, რომ მისი გრძნობები და აზრები ხდება მდებალი, ეგოისტური, თვითონ ადამიანი — არასასიამოვნო, მის





ირველივ ატმოსფერო — დაძაბული და მძიმედ-ასატანი.

ახლა მოვიყვანოთ სხვა მაგალითი. ვილცამ დანახა, რომ ხულიგანი შურაქსყოფას აყენებს ქალიშვილს. ამან ის ააღვლეა, გააბრაზა და... ჩუმად გვერდზე გადაუხვია, რომ დაწყნარდეს და რაც შეიძლება მალე აღიდგინოს თავისი ორგანიზმის პარმონია. მაგრამ, კაპიკის ფასი აქვს ასეთ „პარმონიას“, მხდალის პარმონიას. ამ ადამიანმა არასწორი რეაგირება მოახდინა საზოგადოებისათვის მავნე მოვლენაზე. ხულიგანი, რომელმაც დღეს შურაქსყოფა ქალიშვილი და არ დაისაჯა, სხვა შურაქსყოფას მიაყენებს სხვებს და მეორე თვითონ ფრთხილ მოქალაქესაც მოხვდება ოდესმე მისგან.

ყოველთვის, როცა ჩვენ ხალხისთვის, საზოგადოებისათვის მავნე მოვლენებს ვაწყდებით, ვალდებული ვართ გავბრაზდეთ და აღვშოთდეთ, და რაც უფრო ძლიერად აღვშოთდებით, მით უკეთესია. ახლა უკვე ვერაფერს იტყვის, რომ ჩვენ გვა მოქმედება მდაბალი, გვიისტური გრძობები.

ეს შესანიშნავი ემოცია დიდ ძალას ფლობს. ადამიანთა ერთსულვან რისხვას წინ ვერაფერი დაუდგება. აი, რატომაა საჭირო, რისხვით ვუპასუხოთ ყოველივე იმას, რაც მავნეა ხალხისათვის და რაც ხელს შეუშლის ჩვენი ცხოვრების წინსვლას.

დავუშვათ, ქალიშვილი არ მოვიდა პაემანზე. აქ გაბრაზება არაა სწორი. თუმცა შეიძლება გაბრაზდეთ. მაგრამ არ ღირს. უკეთესია გვერითი რაიმე საინტერესო საქმით, ოღონდ არა არაყით, რომელიც არღვევს ორგანიზმის პარმონიას და უფრო მწვავედ გვაგრძნობინებს, რომ ნაწყენი ვართ.

თუ ვერ მოითმენთ და გაბრაზდებით, დაუსვით თქვენს თავს კითხვა: რამ გამოიყვანათ წონასწორობიდან და ღირს თუ არა ამის გამო გაბრაზება? ვფიქრობთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში თქვენს თავს უპასუხებთ — არა, არ ღირს! და სწორადაც მოიქცევით.

**ლ. ალექსაძევი,**  
ექიმი-ფსიქიატრი.

იკვებება, მისი საკვები რაციონი მრავალფეროვანია, მაგრამ არასაკმარისად ძინაუს, იშვიათად სეირნობს. მან არ იცის, რომ რეჟიმის ასეთი დარღვევის გამო, ორგანიზმი მთლიანად ვერ ითვისებს საკვებს და ეს პირველ რიგში გავლენას ახდენს ბავშვის ჯანმრთელობაზე, მის კბილებზე.

ჰოდა, აი, ბავშვი დაიბადა. რამდენი სიხარული და რამდენი საზრუნავი გაჩნდა ოჯახში. და ამ დავიდარაბაში ბავშვის მომავალ კბილებზე ზრუნვა შეიძლება სასაცილოდ მოგჩვენოს ვინმეს. რა დროს კბილებზე ფიქრობ, თუ ჭერ მათი ნიშნულად არსად ჩანს! მაგრამ ფიქრი საჭიროა, თორემ შემდეგში შეიძლება ამო გამოდგეს ყოველგვარი ზრუნვა.

სიცოცხლის პირველ ძეგებში ბავშვისათვის საუკეთესო საკვები არის დედის რძე, რომელიც შეიცავს მისი ორგანიზმისათვის საჭირო ყოველგვარ ნივთიერებას. მაგრამ ეს მხოლოდ განსაზღვრულ ასაკამდე. ვადის თვეები და ბავშვთა კონსულტაციის ექიმი ნიშნავს დამატებით საკვებს რძისაგან, ბოსტნეულსა და ხორცისაგან. მაგრამ პატარა ქირეულობს: ბოსტნეულს პირში არ იჭარბებს, ხორცს აფურთხებს.

ჰოდა, დედაც, თავისი ფიქრით, გამოსავალს პოულობს, „უსწორებს ექიმს“ და თავისებურად იწყებს ბავშვის კვებას: უფრო ხშირად, ვიდრე საჭიროა უკეთებს მანის ფაფას და შიგ შაქარს ბლომად უდებს. ამგვარი „დიეტა“ თითქოს უხდებს კიდევ ბავშვს, ის წინაში იმატებს და ყველა კმაყოფილია. მაგრამ ეს დამატება არაა ღიდი მიღწევა. ეს მხოლოდ იმის ნიშანია, რომ ორგანიზმმა ჭარბად მიიღო ნახშირწყლები (ხომ არ გვეზღვევა სამაგიერო მომავალში?).

დაბოლოს, ადრე თუ გვიან, დგება ნანატრი დღე: ბავშვს ამოდის პირველი კბილი. ამ მოვლენით გამოწვეულ სიხარულს მშობლები აუცილებლად გაუზიარებენ მეგობრებსა და ნათესავებს. მერე მეორე კბილიც ამოვა, მესამეც... კბილების ჩაოდნობა ყოველთვის იზრდება. მაგრამ მშობლების ყურადღება? სამწუხაროდ, ასევე სწრაფად მცირდება. და ხშირად ორი-ორნახევარი წლისათვის, როცა ბავშვი ოცი ქათქათა სარძეო კბილს პატრონი ხდება, დედა სულ მთლად მშვიდდება, თვლის, რომ ახლა ყველაფერი წესრიგშია. დამშვიდება ჭერ კიდევ ადრეა, ჭერ კიდევ ბევრი უნდა ვიღონოთ, რომ ბავშვს შეეუწარჩუნოთ, არ გაუფუჭოთ პირველი კბილები.

კბილი არ არის მკვდარი ქსოვილი, ის ცოცხალი ორგანოა და ყველაფერი, რაც ორგანიზმში ხდება, კბილებზეც აისახება. თუ ბავშვი ავადა და მაღალი სიცხე აქვს, ამ დროს ძალიან აქტიურად მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა და განსაკუთრებით ბევრი ცილები იხარჯება. ესე იგი, საჭიროა მისი მარაგის შევსება — რძის, ხაჭოს მიღება, მაგრამ პატარა საჭმელს არ იღებს და მხოლოდ წყალს თხოულობს. დედაც არ აძლავს. მერე და რა ხდება? ბავშვმა გადაიტანა ქუნთრუშა, წითელა ან ანგინა, გამო-

ჯანსაღად და თითქოს ყველაფერი რიგზეა. მაგრამ ვანა უკვლოდ ჩაარჩნენ ქმ შეფერხებებმა ბავშვის ორგანიზმს. მომარაგებებში თურმე, არა. და თავს გაატყუებენ „სრულიად მოულოდნელი უსიამოვნება. ბავშვს უფუქდება კბილები.

ამრიგად, პირველი, რაზეც ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, როცა კბილებს შენარჩუნება გვსურს, ესაა სწორი კვება, განსაკუთრებით კბილების ჩამოყალიბების პერიოდში. საკვების ელემენტები — ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, მინერალური მარილები, ვიტამინები, მიკროელემენტები — ყველაფერი თავისებური საშენი მასალაა, რისგანაც იქმნება კბილები. უნდა ითქვას, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ამათ შორის ცილაა. აი, რატომ არის აუცილებელი, რომ ბავშვის მენიუში შედიოდეს ცილით მდიდარი რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, ხორცი და თევზი. არ უნდა დავივიწყოთ ბოსტნეულიც, ხილიც, შავი პურიც, რომლებიც შეიცავენ კბილებისათვის ასევე აუცილებელ ნახშირწყლებს, მინერალურ მარილებს, ვიტამინებს და მიკროელემენტებს.

კარგია, თუ ბავშვის საკვები მრავალფეროვანია. მაშინ ის საკმაო რაოდენობით მიიღებს ყველა ამ ნივთიერებას. მაგრამ ზოგიერთი მშობელი ბავშვს დღეშიადაც ატენის ტკბილეულს, ხან კანფეტს, ხან მურაბას, ხან ნამცხვარს. ზოგი დედა ერთ ჭიქა ჩაიში ან მაწონში ბავშვს ოთხ და ხუთ კოვზ შაქარს უყრის და ამას იმეორებს განა დღეში ერთხელ! ამავე დროს ის ზედმეტად ატკობს კისელს და, წარმოიდგინეთ ბოსტნეულის პიურესაც. არა და, ბავშვს სამიდან თერთმეტ წლამდე დღეში უნდა მიეცეს მხოლოდ 60 გრამი შაქარი (ე. ი. 6 ჩაის კოვზი), მას კი აძლევენ 10-12 კოვზს. ჰოდა, სწორედ ამ დროს ფუქდება კბილები, მაგრამ ვანა ტკბილეულის უშუალო შემოქმედებისაგან — როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. ეს პროცესი გაცილებით რთულია: საკვებში ნახშირწყლების სიჭარბე (შაქარი, ფქვილი და სხვა) არღვევს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას და ხდება ქსოვილებში ზედმეტი წვა. კბილებიც კარგავენ ცილებს და იშლებიან.

მეორე შეცდომა, მშობლებს რომ მოსდით, ეს გახლავთ ბავშვის კვების რაციონის გასაოცარი ერთფეროვნება. რატომ არ გულშადადებთ ბავშვს ვარირს სტაფილოსაგან, კომბოსტოსა და ყაბაყისაგან? სამიდან ხუთ წლამდე ბავშვი დღეში უნდა იღებდეს არანაკლებ 200 გრ ბოსტნეულს (კარტოფილის ჩათვლელად). რძის დღიური ნორმა ნახევარი ლიტრი, მაგრამ ძალიან ხშირად არც ეს ნორმაა დაცული. ბავშვებს, განსაკუთრებით მოსწავლეებს, მცირე რაოდენობით აძლევენ კეფირს, ხაჭოს და რძის სხვა ნაწარმს. აუცილებელია კბილებისათვის შავი პურიც.

ბავშვის რაციონალური კვების მოუწყვრივებლობა მხოლოდ ერთერთი მიზეზია კბილების დაავადებისა. არსებობს სხვა მიზეზიც. ყველასათვის ცნობილია, რომ ვარ-

# ახილვის მოვლა

ადამიანის კბილების ჩამოყალიბება ჭერ კიდევ დაბადებამდე იწყება, დედის მუცელში ნაყოფის განვითარების მეორე თვიდან. ამ დროიდან მოყოლებული, კბილების მდგომარეობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია დედის კვებაზე, იღებს თუ არა ის საკმარისი რაოდენობით ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, მინერალურ მარილებს, ვიტამინებსა და მიკროელემენტებს.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ დედა სწორად



ჯიში ამაგრებს კუნთებს. ვარჯიშის შედეგად ძლიერდება კუნთებში სისხლის მოწოლა, კუნთები მაგრდება საკვები ნივთიერებებით, მკვრივდება და ღონივრდება. სწორედ ასევე შეიძლება კბილების გამაგრებაც, თუ კი თანდათანობით შეეჩვივით ბავშვს მაგარ საკვებს — ვაშლს, ორცხობილას, სტაფილოს. ესეც კუნთების ერთგვარი ვარჯიშია. ჩვენ კი ხშირად რას ვხედავთ? ბავშვს უკვე სამი წელი უსრულდება, ახლა უნდა დეკოს და დეკოს, დედა კი ყველაფერს უხეხავს: ვაშლსაც, ხორცსაც, სტაფილოსაც. გახეხილ საჭმელს ბავშვს ისე დიდხანს აძლევენ, რომ ის ვეღარ ეჩვევა კარგად დალევას, უარს ამბობს მაგარ საჭმელზე, ან მთელს ყლაპავს და ლამის დაიხრჩოს.

ახლა, კბილების წმენდაზე. თანდათან მიიჩვიეთ ბავშვის ჩაგრის და კბილის ფხვნილს. ჭერ დაუჭვირდეს, როგორ იწმენდავენ კბილებს დედა, მამა. მერე შეაჩვიეთ ჭამის შემდეგ პირში წყლის გამოვლებას. დაბოლოს, უყიდეთ პატარა ლამაზი ჩაგრისი. ჭერ კბილები მხოლოდ ჩაგრისით გაახეხინეთ. შემდეგ კი, როცა ჩაგრისის ხმარებას ისწავლის, კბილის ფხვნილიც მიეცით.

როგორც ვხედავთ, ბავშვის კბილების მდგომარეობა ბევრ რამეზეა დამოკიდებული. და თუ კი რაიმე დარღვევები დავუშვით, ამის გამოსწორება ექიმის გარდა არავის შეუძლია.

ბატარას, რომელსაც არასოდეს სტკივებია კბილი, არ ეშინია მკურნალობის. ის მშვიდად ჯდება საფარქელში და უფლებას აძლევს ექიმს გაუკეთოს ყველაფერი ისე, როგორც საჭიროა. მაგრამ ზოგჯერ თვითონ მშობლები ანერვიულებენ ბავშვებს. სტომატოლოგიური კაბინეტების კარებთან ხშირად შეიძლება მოვსმინოთ, რა გატაცებით ყვება დედა თავისი „ტანჯვის“ შესახებ კბილის ექიმის კაბინეტში. ცხადია, ამგვარი მოყოლის შემდეგ ბავშვს არ ეხადება დიდი სურვილი, რაც შეიძლება სწრაფად მოკალათდეს იმ საფარქელში. ზოგჯერ დედები კითხულობენ: რა საჭიროა სარძეო კბილების მკურნალობა, ხომ სულერთია, მოსაცვლელია? მაგრამ დაავადებული კბილები ხომ ინფექციის კერებია, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ სხვა ორგანოთა დაავადებაც: თვალის, გულის, თირკმელების, სახსრების და აგრეთვე მუდმივი კბილებისა, რომელთა ჩანასახი სარძეო კბილების ფესვებთანაა.

თუ სარძეო კბილები იფშენება, უკეთესია მათი ამოღება, რომ ამან გავლენა არ მოახდინოს მუდმივ კბილებზე: არ გამოიწვიოს მათი გადაადგილება, არასწორად და აცხადად ამოჭრა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ პირველ მუდმივ კბილებს. ეს კბილები ბავშვებს დაახლოებით ექვსი წლის ასაკისათვის ამოსდით. ზოგჯერ კი ეს კბილებიც სარძეო ჰგონიათ (რადგან ისინი მოცვლილი სარძეო კბილების ადგილზე კი არ ამოდიან, არამედ იმათ უკან) და დროულად არ მკურნალობენ.

ლ. ლიპაბაძე

### ბადრიჯანი ბულგარული წიწაკით და სტაფილოთი

1 კგ ბადრიჯანი გამოაფულურეთ. ბადრიჯანისგან გამოღებულ მასა, 4 ცალი ბულგარული წიწაკა, 3 თავი ხახვი, ნიორი წვრილად დაჭერით, 1/2 კგ სტაფილო სახეხზე გახეხეთ, ყველაფერი ერთმანეთში აურიეთ და ზეთში მოშუშეთ გამზადებამდე. ორ პამიდორს მოაშორეთ კანი და გახეხეთ. დაუმატეთ მარილი, წვრილად დაჭრილი ოხრაბუში, ქონდარი, ნიახური, შავი პილპილი და დაასხით მოშუშულ მასას, კარგად მოურიეთ და წამოადუღეთ.

მიღებული სატენით შეავსეთ გამოფულურული ბადრიჯანი, ჩაალაგეთ ღრმა ტაფაში. 3-4 პამიდორს კანი მოაშორეთ, გახეხეთ, დაუმატეთ მარილი და დაასხით ბადრიჯანს. ადუღეთ ბადრიჯანს გამზადებამდე.

### ბადრიჯანის სიზილალა უპამიდვროდ

5-6 ცალი კანინი ბადრიჯანი შევწვით ალზე ყოველი მხრიდან, მოვაშორეთ კანი და წვრილად დავეჭოთ: 3 კბილი ნიორი და მწვანე წიწაკა წვრილად დავეჭრათ ან დავნაყთ, შევურიოთ დავეჭოთ ბადრიჯანს და ზეთთან ტაფაზე მოვშუშოთ. ბოლოს დავუმატოთ მარილი და ძმარი.

### ბადრიჯანი ავხახურად

600 გრ საქონლის ან ცხვრის რბილი ხორცი ძალიან წვრილად დავჭრათ, ასევე დავჭრათ 2 თავი ხახვი, დავუმატოთ 100 გრ კარაქი (თუ ხორცი საქონლისაა) და ვშუშოთ თითქმის გამზადებამდე. ამ დროისათვის გამოაფულურეთ 1 1/2 კგ ბადრიჯანი. ბადრიჯანიდან გამოღებულ მასა, 2 ცალი ბულგარული წიწაკა, 2 კბილი ნიორი, გემოვნებით — ქინძი, ოხრაბუში, ქონდარი და ნიახური — წვრილად დავჭებთ და დავაყაროთ ხორცს, დავუმატოთ 2 სუფრის კოვზი წყალი და მოვშუშოთ გამზადებამდე. 2 ცალ პამიდორს მოვაცილოთ კანი, გახეხებთ, დავუმატოთ შავი და მწვანე პილპილი და მარილი, დავასხათ მოშუშულ მასას და წამოვადუღოთ. მიღებული სატენით ამოვავსოთ გამოფულურული ბადრიჯანი და ჩავალაგოთ ღრმა ტაფაში. 3-4 ცალი გაფტქენილი პამიდორი გახეხებთ, დავუმატოთ ცოტა კარაქი, 1 სუფრის კოვზი ფქვილი, 1 ჭიქა წყალი, მარილი და დავასხათ ბადრიჯანს. ვადუღოთ გამზადებამდე.


### ბადრიჯანი დაკვილი სორცით და კარტოფილით

1/2 კგ საქონლის ხორცი, 2-3 თავი ხახვი, 2 ცალი ბულგარული წიწაკა, ნიორი და მწვანელი გავატაროთ ხორცის საკვებ მანქანაში, კარგად ავეურიოთ და მოვშუშოთ გამზადებამდე. დავუმატოთ მარილი, 1 პამიდორის წვენი და შავი პილპილი.

ცალკე უნდა შევწვათ სიგრძეზე ბრტყლად დაჭრილი 1 კგ ბადრიჯანი და 1 კგ კარტოფილი. ყველაფერი ეს უნდა ჩავაწყოთ ღრმა ტაფაში ან თუჯის დაბალ ჭებაში შემდეგ თანმიმდევრობით: პირველი ფენა კარტოფილი, შემდეგ ბადრიჯანი, მოშუშული ხორცი, ისევ ბადრიჯანი, ბრტყლად დაჭრილი პამიდორი, შემდეგ ისევ კარტოფილი და ა. შ. ბოლოს ზევიდან მოვასხათ კარგად გათქვეფილი კვერცხი და ცეცხლზე ერთხელ წამოვადუღოთ.

### მწვანელი დატენილი ბადრიჯანი

ბადრიჯნები (1 კგ) სიგრძეზე ჩავჭრათ. წვრილად დავვეჭოთ 1 თავი ნიორი, ოხრაბუში, ქონდარი, ქინძი, ნიახური, წიწაკა, მოვავაროთ მარილი, კარგად ავეურიოთ ერთმანეთში და ჩავტენოთ ჩაჭრილ ბადრიჯანში. ტაფაზე დავასხათ 1 ლენის ჭიქა ზეთი, ჩავალაგოთ ბადრიჯნები და შევწვათ.



### ბადრიჯანი პამიდვრის საწებლით

4-5 ცალი ბადრიჯანი დავჭრათ ბრტყლად სიგრძეზე და შევწვათ ზეთში ორივე მხრიდან.

ცალკე მოვამზადოთ პამიდვრის საწებელი: წვრილად დავჭრათ 2 თავი ხახვი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა და მოვშუშოთ ზეთში. დავუმატოთ 1/2 კგ გაფტქენილი, გახეხილი პამიდვრის წვენი, ოხრაბუში, ქონდარი, ნიახური, 1 კბილი ნიორი, მარილი და წიწაკა გემოვნებით. ერთხელ წამოვადუღოთ და დავასხათ შემწვარ ბადრიჯანებს.

დასახლისი ლ. ცინცაბაძე



# მედიონერია აუდიონერია



## პირველობა

მამა თავის ქალიშვილს ეუბნება:  
 — ორ კვირაში პატარა ძამიკო ან დაიკო გეყოლება.  
 — ო, რა შესანიშნავია! მე ვეტყვი, რა პირველად დედიკოს!



## მითოდი

ერთი ქალი თავის მეგობარს:  
 — მითხარი, როგორ ართმევ ამდენ ფულს ქმარს?  
 სრულიად უბრალოდ: გეუბნები სოლმე, რომ მშობლებთან მივდივარ და ის იმ წუთში მაძლევს ბილეთის ფულს.

## ახსნა

პატარა გოგონა დედას:  
 — დედა! რა არის საცოლე?  
 — საცოლე ის ქალია, რომელსაც პირდებიან ყველაფერს, რაც არ არსებობს.

## სასარგებლო

პოლიგუდში ორი სცენარისტი საუბრობს:  
 — გავიგე, რომ შენი უკანასკნელი ქორწინება შენი უდიდესი წარმატებაა.  
 — ო, დიად. ჩემი ცოლის წარსული შესანიშნავი წყაროა სცენარის თემისთვის.

## მიზეზი

ყმაწვილი თავის ამხანაგს:  
 — ჩაშალე ნიშნობა ქრისტინასთან?  
 — კო.  
 — რატომ?  
 — იმიტომ, რომ უნდოდა ცოლად გამომეყოლოდა.



## უფარდელი

მდიდარი ამერიკელი ქალი მეგობარს ტელეფონში:  
 — თანაგერძნობ. მგონი, შენი ქმარი შენ მოსამსახურესთან ერთად გაქცეულა, არა?  
 — ოპ, სულაც არ ვწუხვარ. ისედაც უნდა გამეგდო ის ქალი!



## რომ...

— ვერ წარმოგიდგენია, როგორ შეიძლება გათხოვება უსიყვარულოდ.  
 — ჰოო? აბა, რომელიმე მილიონერს რომ შეუყვარდე, ეტყოდი უარს!  
 — მილიონერი რომ იყოს, მაშინ ალბათ ვიქნებოდი კიდევ მასზე შეყვარებული...

პოლონურიდან თარგმნა  
 ინგა კაპაბაძემ



გარეკანზე — დეკორატიული მოტივი. მხატვ. ვ. მიშველაძე.

რედაქტორი  
 თეო აბაშმაძე

სარედ. კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ნ. გურგენიძე, ე. თავაძე, მ. კალანაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ნ. ჭავჭავაძე.

საქ. კვ. ცენტრალური  
 კომიტეტის  
 გამომცემლობა

ტიქრედაქტორი ქ. დემუროვა.

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,8.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VIII 64 წ. ქალაქის ზომა 60x92. ტირაჟი 50.000. შეკვ. 1894. უე 02325. ფასი 30 კაპ.

საქ. კვ. ცვ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакართველოს კალი».  
 Издательство ЦК КП Грузии.





მარგალიტა გვასალია

ზღაპარი

ტყეში ერთი პატარა, ყავისფერი ხოჭო ცხოვრობდა. მან არა მარტო ღოღვა, ფრენაც კარგად იცოდა; ცხოვრობდა თავისთვის უდარდელად, არავის ერჩოდა.

ერთ ღამეს პატარა შვილები-ხოჭუნები გაუჩნდა. ღამის სიბნელეში შვილებს ვერ ხედავდა და დაღონდა.

დილით კი დედის გულმა გაიხარა: მის ირგვლივ სულ პაწაწინა ხოჭოები დალოდავდნენ, ფრთის გამლასაც ცდილობდნენ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ.

ახლა დედახოჭოს ახალი საზრუნავი გაუჩნდა: შვილები უნდა დაეზარდა, მათ საჭმელზე ეზრუნა და მტაცებლებისაგანაც დაეცვა.

ხოჭომ განზმარ ხავსში შეფუთა თავისი შვილები, რომ ჯირკის ქვეშ, სინესტეში არ გაციებულიყვნენ, და ასე დაარჩია:

— აი, აქ იყავით, შვილებო. ნურსად წახვალთ, თორემ ტყეში გაიფანტებით, სახლს ვედარ მოაგნებთ და დაიკარგებით. მე კი წავალ, საჭმელს მოგიტანთ. — უთხრა და გაფრინდა.

დილის მზემ გამოიანათა, პაწაწინა ხოჭოები გაათბო და ისინიც გარეთ გამოცვიდნენ, აფუსფუსდნენ, აქეთ-იქით გაიქცა-გამოიქცნენ და ბოლოს სულ გაიფანტნენ.

ხოჭო რომ სახლში დაბრუნდა, შვილები აღარ დაუხვდა. აწრილდა დედახოჭო, შვილების საძებრად წავიდა. დიდხანს ეძებდა თავის პაწიებს, მაგრამ მათ ვაკლასაც ვერ მიაგნო.

გამწარებული და ქანკვამოლული დედახოჭო ჯირკის ქვეშ შეძვრა და ტირილი მორთო:

— ეხ, ჩემო შვილებო, რატომ არ დაუჯერეთ დედას? სად გეძებოთ, სად მოგნახოთ? ვინ იცის, რომელმა ფრინველმა ჩაგყლაპათ! ვაი, ვაი შვილებო! — იძახდა ხოჭო და ცრემლებს ღვრიდა. იმდენხანს იტირა, სანამ ჯირკის ქვეშ ცრემლების ნიაღვარი არ დადგა. ბოლოს გამოძვრა იქიდან და ისევ შვილების საძებრად გასწია.

დიდხანს იფრინა ხოჭომ თუ ცოტახანს, გუგული დინახა. ხის ტოტზე ჩამომჯდარიყო და

ნისკარტს იწმენდა, ეტყობოდა გემრიელად ესაუზმა.

— გუგულო, შენ ხომ არ გინახავს ჩემი შვილები, ჩემი პაწაწინა ხოჭუნები? გული მეწვის, შვილები დაკვარგე. თუმცა შენ რა გაგეგება შვილის სიყვარულისა? სხვის ბუდეში დებ კვერცხებს და შემდეგ არც კი ზრუნავ მათზე! ეხ, ეხ, ეხ! — ჩაიქნია ფრთა ხოჭომ და გაფრენა დააპირა.

— მოიცა, ხოჭოვ, ცოტა არ იყოს გული მატკინე. დილიდანვე ერთი ასი ცალი ხოჭო და მწერი მაინც გადავვლაპე, რა ვიცი, იქნებ შენი შვილებიც მათ შორის იყვნენ, — უპასუხა გუგულმა.

— ოხ, ოხ, ოხ! რა უბედური დედა ვყოფილვარ! — დაიგმინა ხოჭომ და გაფრინდა.

გზაზე ვეებერთელა დათვი შემოხვდა.

— დათვო, დათვნიავ, შვილები დაკვარგე, პაწაწინა ხოჭოები, შენ ხომ არ გინახავს სადმე? შენ ხომ სულ ძირს იხედები, ეგებ დაინახე ჩემი შვილები? — ჰკითხა ხოჭომ დათვს.

— ეხ, საცოდავო დედავ! შვილები დაკვარგე?.. აბა, რას დაინახავდი, ბებერი ვარ, ცუდად ვხედავ, იქნებ თათებქვეშ მომყვა შენი შვილები, აბა, რა ვიცი, — ჩაიბურტყუნა დათვამაც.

ამის გამგონე ხოჭო უფრო გამწარდა და ტირილით გაფრინდა.

ამასობაში შემოაღამდა კიდევ; დაიდალა და სახლში დაბრუნება გადაწყვიტა. გაიხედ-გამოიხედა. თურმე ჭაობის პირას მისულიყო, სადაც ნოტიოს სუნი იდგა. შესცივდა ხოჭოს და აკანკავდა.

ამ დროს ჭაობზე ცეცხლის ნაპერწკლები ავარდა. გაეხარდა. იფიქრა: ახლოს მივალ, ჯირკზე ჩამოვჯდები და ცოტას გავთბებიო. ასეც მოიქცა — ერთ მოზრდილ ჯირკზე ჩამოჯდა, რომელიც ყველაზე მეტად ციმციმებდა ღამის სიბნელეში, მაგრამ რა? — ცეცხლი მხოლოდ ანათებდა თურმე, არ კი ათბობდა.

— ეხ, რა უბედური ვყოფილვარ. შვილები დაკვარგე, ცეცხლი არ მათობს. ვინ იცის, კიდევ რა მომეღის! — აქეთიინდა ხოჭო.

— ნუ ტირი, ხოჭოვ — მოესმა ჯირკის ხმა. — ჩემი ცეცხლი არ ათბობს, მაგრამ კარგად ანათებს. შენ ახლა სინათლე გჭირდება, რომ შვილები ეძებო. მოგცემ ჩემს ნათურას, შენს ტოლებსაც გაუწაწილე, იფრინეთ და ანათეთ, იქნებ იპოვნოთ შენი ხოჭუნები. მოდი, პირდაპირ ცეცხლზე დაეშვი, ნუ გეშინია, ეგ ცეცხლი არ დაგწვავს, მხოლოდ გაგანათებს, — უთხრა სტუმართმოყვარე ჯირკმა.

— ოჰ, რა კეთილი ჯირკი ყოფილხარ. ტყეშილად ამბობენ „ჯირკივით უგრძნობელაო“. — ჩაილაპარაკა ხოჭომ და პირდაპირ ცეცხლზე დაეშვა. დაჯდა თუ არა, ნახევარი ტანი აულ გაუნათდა. გახარებულმა ხოჭომ ძაღლობა უთხრა ჯირკს და საჩქაროდ გაფრინდა.

მიუხაროდა ხოჭოს: ფრთას გაშლიდა—განათებდა, მოკეცავდა— ბნელდებოდა.

გაოცდნენ, შეშინდნენ ტყის ბინადარნი: ეს რა უბედურებაა ჩვენს თავზე, ტყეს ცეცხლი გაუჩნდება და თავშესაფარი აღარ გვექნებაო.

ხოჭომ კი ამ დროს დათვს გადაუფრინა თავზე.

— არიქა, მიშველეთ, ცეცხლმა გადამიფრინა, ალბათ, ჩემს ბეწვს ალი მოედო! — იყვირა დათვმა და მიწაზე გაკოტრიალდა.

ხოჭომ გაიგონა დათვის ნათქვამი და გაეცინა.

— ნუ გეშინიათ, მხეცებო და მწერებო, ჩემი ცეცხლი არავის დაწვავს, ის მხოლოდ ანათებს! ხომ ხედავთ, ეს ცეცხლი ჩემს მუცელში მინთია, მე კი სრულუებითაც არ ვგრძნობ! — დაამშვიდა მან ტყის ბინადარნი. — ახლოს მოდიეთ, ჩემო ნათესავებო. ამ ცეცხლს თქვენც გაგიზიარებთ, რაც მეტი ვიქნებით, უფრო გავანათებთ ტყესა და ველს. ვინ იცის, იქნებ ჩემი დაკარგული შვილებიც ვიპოვნოთ! — სიტყვის დამთავრებაც არ აცალეს ხოჭოს, ისე შემოესივნენ ნათესავები.

ტყეში უამრავი ნათურა აციმციმდა, ხოჭუნების მოსაძებნად მთელი ნათესავ-მოკეთები მოსულიყვნენ.

მას შემდეგ, როგორც კი გაზაფხული დადგება, ტყეში და მინდვრად ციმციმა ხოჭოები იწყებენ ფრენას. ზოგჯერ ქალაქშიც მოფრინავენ, ამბობენ, დღემდე ეძებენ დაკარგულ ხოჭუნებსო.

ბავშვებმა მათ „ციცინათელა“ შეარქვეს და ძალიან უყვართ ეს ნათურა-ხოჭოები.



ИНДЕКС 76177

საქართველოს  
საბავშვო  
ლიტერატურის  
ცენტრი

